



მეცნიერება

№ 9-10

ოფიციალური განყოფილება.

განჩინება უწყობილი სინოდისა.

24 მარტიდან 1907 წელსა № 1823, სასულიერო პირთა დაჯილდოების შესახებ სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის.

მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის უკმა-
რისამებრ უწყობილესა და უმართებლესა სინოდმა
მოისმინა ეპარქიის მღვდელთ-მთავრების, მოსკოვის
სინოდის კანტორის და სასახლის სამღვდლოების
გამგის წარმოდგინებანი მათდამი რწმუნებულ სა-
სულიერო პირთა დაჯილდოებაზე სასულიერო უწყე-
ბაში სამსახურისათვის. ბრძანეს: საფუძველსა ზედა
მომხდარ მსჯელობათა უწყ. სინოდმა განაწესა:
წარმოდგენილი სიგება შინა მოხსენებულნი სასუ-
ლიერო პირნი იქმნენ დაჯილდოებულნი სიგ.ში
აღნიშნული ჯილდოებითა და მღვდელთ-მთავართა,
მოსკოვის კანტორის და სასახლის სამღვდლოების
გამგეთა საცნობლად დაჯილდოებულ პირთა სია
დაიბეჭდოს „საეკლესიო უწყებაში“.

საქართველოს საეპისკოპოსოში: ა) ეპქრათ—სამღრ-
თო სჯულის მასწავლებელი ქუთაისის რეალური
სასწავლებლის მასწავლებელი დეტ. გაბრიელ ცაგა-
რეიშვილი; ბ) დეკანოზობის ხარისხით: თფილისის
მაზრის მოძღვართ მოძღვარი მესამე საბლაღოინო
ოქტის სამღვდლოებისა, შტატ გარეთი მღვდელი,
ნიკოლოზ დავადავა, ქალაქ თფილისის მიხაილოვის
საავდმყოფოს მღვ. დავით ბარნაბეა, ივერიის ნახა-
ლოვის ეკლ. მღვდელი მიხეილ მხანათაჲ; მარტყოფის
საქრებულო ტაძრის მღვდელი ქრისტესა ბეჟან-
ნაო, ბლაღოინნი მესამე დუშეთის საბლაღოინო
ოქტისა მღვდელი დიმიტრი მეტრეველი. გურია-სა-
მეგრელოსი ეპარქიის ბანძა-შაურვარის წ-ს გიორგის

ეკლესიის მღვდელი ანტონ გეგეაია, იმავე ეპარქიის
ოპუტის მთავარ-ანგელოსთ ეკლ. მღვდელი გიორგი
შენგეაია, ლეჩუმის მაზრის ლაილაშის მღვდელი
რომანოზ გულბანი, ქუთაისის მაზრის ქვეტირის
ეკლ. მღ. მოსე შავგუდიძე; საბუის იოანე ნათლის
მცემლის ეკ. მღ. დავით გვაგუა; ბოდბის დედათა
მონასტრის მღვდელი იოსებ შარანაოვა, ბოდბის სა-
მეგბის ეკ. მღ. აბრამ ბაღაევა, ბ) აღუქმანას ხარ-
ისხით—ქუთაისის მაზრის, ეკონომი გელათის მონას-
ტრისა მღვდელ მონაზონი ანთიმოზი; ც) მეგრადის
ჯგრათ სინოდისაგან ბოძებულთ: მცხეთის სამთა-
ვრის მონასტრის ეკ. მღვდელი გრიგორი გაქაშვილი,
სამტრედიის რკინის გზის ეკლესიის მღვდელი სი-
ლიბისტრო ხუნდაძე; მასწავლებელი თბილისის სე-
მინარიისა მღვდელმონაზონი სერგი; სურამის ეკლ-
ესიის მღვდელი იოსებ ბუაშვილი; ბლაღოინი
მღვდელი იოანე კახნაძე; ლეჩუმის მაზრის სოფ-
ლის მესტიას ეკლესიის მღვდელი ბესარიონ ნაყა-
რძე; რაჭის მაზრის სოფლის ჩორდოს ეკლესიის
მღვდელი ერასტი გაბიჭავაძე; შორაპნის მაზრის სო-
ფლის ჩხერის მღვდელი რომანოზ დეკანოძე; ქუ-
თაისის მაზრის კვახვირის სოფლის მღვდელი იასონ
ჩხიკვაძე; იმავე მაზრის სოფლის მალაკის ეკლეს-
იის მღვდელი ისიდორე ყორფადახანი; შორაპნის
მაზრის სოფლის სვერის ეკლესიის მღვდელი ღენ-
ტორ წერეთელი; ქალაქ ქუთაისის სასაფლაოს ეკლ-
ესიის მღვდელი ბასილ დოღაბეძე; ლეჩუმის
მაზრის სოფლის საირმის ეკლესიის მღვდელი
კალისტრატე გაბაიანი; ქუთაისის მაზრის სოფლის
მალაკის ეკლესიის მღვდელი ტარასი ტყეშელა-
შვილი; ლეჩუმის მაზრის ავეის სოფლის მღვდელი
მაქსიმე თაგვაძე; ხოპის მონასტრის მღვდელ-მონა-



ზონი დიონოსი, იმავე მონასტრის მღვდელ-მონაზო-
ნი ზაქარია; ოშუდღის მთავარანგელოზი ეკლესიის
მღვდელი ევგენი შუბგაია; სამიქაოს ეკლესიის
მღვდელი თომა კარანასი; იმავე ეპარქიის ჯუღლის
ეკლესიის მღვდელი პეტრე კვარცხელია; იმავე
ეპარქიის სოფლის ქეტანას ეკლესიის მღვდელი
გრიგორი ცომაი; იმავე ეპარქიის ორკის წმიდისა
ვეოდორე ტირონის ეკლესიის მღვდელი ოქრო-
წარ რურუ; იმავე ეპარქიის კირხინის სოფლის ეკ-
ლესიის მღვდელი პეტრე გოშუა; იმავე ეპარქიის
მარანის სოფლის ეკლესიის მღვდელი ბართლომე
ხონელია; იმავე ეპარქიის ლიციცხავის ეკლესიის
მღვდელი დავით ასიძე; იმავე ეპარქიის, ტისის
წმიდის გიორგის ეკლესიის მღვდელი მაქსიმე თა-
ღუა; იმავე ეპარქიის ჯოღეის წმ. გიორგის ეკლესი-
ის მღვდელი ბასილ კურუ; იმავე ეპარქიის სა-
მგის ეკლესიის მღვდელი ებიფანე ხონელია; **დ**
კამბაჯგათ: ქალაქ თფილისის აისორის ეკლესი-
ის მღვდელი ვლადიმერ გურგენია; ყარსის საკ-
რებული მღვთის მშობლის ეკლესიისა მღვდელი
ლენტი მესხვეტაძე; საღმრთო სჯულის მასწავლე-
ბელი პირველი კლასიკური გიმნაზიისა ქრისტეფო-
რე ჯაფარი. იტრიის სამრევლოს ეკლესიის მღვ-
დელი კვაჭიანი; მიხაილოვის რკინის ვზის ეკლესი-
ის მღვდელი ნიკოფორე მამათაფრიაშვილი; ერედვის
სამრევლოს მღვდელი ანტონ ღამბაჟა; ნორიოს
სამრევლოს მღვდელი დავით ზუტუტა; დიდი ლი-
ლოს სამრევლოს მღვდელი ბასილ შატკვაი; არ-
ბოს სამრევლოს მღვდელი გიორგი გვამაძე; ქუ-
თაისის მარის სოფლის წყალტუშვოს ეკლესიის
მღვდელი იუსტინე ფანცხვა; შორაპნის მარის
სოფლის სანახშირის წმ. გიორგის ეკლესიის მღვ-
დელი იაკობ გეგუაშინა; ამავე მარის ლედვის
სოფლის ეკლესიის მღვდელი ფარნაოზ გეგუაშინა;
ქუთაისის მარის სოფლის ნახშირის ღელის მკა-
ლესიის მღვდელი ისიდორე ღამბაძე; რაქის მარ-
ის სოფლის საკაოს ეკლესიის მღვდელი ნიკო-
ლოზ გონდუაშინა; შორაპნის მარის სოფლის არ-
გვეთის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი ლავ-
რენტი ფურაძე; ქუთაისის მარის სოფლის კურსე-
ბის ეკლესიის მღვდელი გიორგი ცარვალია; შო-
რაპნის მარის სკინდორის სოფლის ეკლესიის
მღვდელი იოსებ წურუაყა; ქუთაისის მარის ზენა-
თის ზევანის ეკლესიის მღვდელი ილარიონ გონ-

ტაძე; იმავე მარის სოფლის ვაკის უბნის ეკლესიის
მღვდელი მიხაილ მესხი; იმავე მარის სოფლის
ჩუნეშის ეკლესიის მღვდელი ლავრენტი ღამბაძე;
შორაპნის მარის სოფლის ლორეში ეკლესიის
მღვდელის სიმონ ჭუმუშნია; ქუთაისის მარის
სოფლის ქალანის ეკლესიის მღვდელი ნიკოლოზ
ქებუაძე; გურია სამეგრელოს ეპარქიის მეორე
შეფის მთავარანგელოზთ ეკლესიის მღვდელი
იოანე სსოკია; იმავე ეპარქიის კვიათის ჯვარცმის
ეკლესიის მღვდელი ევგენი გაწყრელია; იმავე ეპა-
რქიის, ხუნციის თეოდორე ტირონის ეკლესიის
მღვდელი ანტონი რევა; იმავე ეპარქიის, ექაღი-
ვის წმ. გიორგ; ეკლესიის მღვდელი სერგეი გა-
დგრა; იმავე ეპარქიის ჯვარიძენის წმ. გიორგის
ეკლესიის მღვდელი ზებუნე კვათა; კანდელაკი
ფოთის საკრებულო ტაძრის მღვდელი ვარლამ მა-
ხარაძე; იმავე ეკლესიის ბანძა შაურკარის ეკლესი-
ის მღვდელი რომანოზ ურბადა; იმავე ეპარქიის
ლისკოს ეკლესიის მღვდელი მოსე კვერკველია;
იმავე ეპარქიის ეკლესიის მღვდელი თეოდანე კა-
ლანდიაშვილი; იმავე ეპარქიის, ქვედა გარახის წმ
გიორგ. ეკლესიის მღვდელი კონსტანტინე კვერკვე-
ლია; იმავე ეპარქიის სოფლის ქოქუა ქალადის
ეკლესიის მღვდელი რომანოზ გვაშიაყა; იმავე
ეპარქიის, მელქედეშურის ეკლესიის მღვდელი იუს-
ტინე შარაძე; იმავე ეპარქიის ზუგდიდის ორ შტა-
ტიანი ეკლესიის მრევლის მღვდელი სამსონ
თათარაშვილი; სოხუმის ეპარქიის ღელისთავის ნაწი-
ლის, აბჯავის ეკლესიის მღვდელი იოანე ბერ-
დაძე; იმავე ეპარქიის, სოფლის ფშავის და დარან-
დის ეკლესიის მღვდელი დავით ზუგუაყა; იმავე
ეპარქიის სოფლის ცხისის მღვდელი ზოსიმე მსხეთა;
ბოდბის წმიდა ნინოს მონასტრის მღვდელი მიხაილ
ნატყადაძე; ქალაქის სამრევლოს მღვდელი საბა
გულიშვილი.



მეფემსი

მწეფემსან კეთილმან სული
თვისი დახდვის ცხოვრათვის.
იოან. 10 — 11.

№ 9—10

1833—1907 წ.

30 მაისი

შ ი ნ ა რ ს ი.

ოცხილური განყოფილება: უმაღლესი ჯილდანი.

სალიტერატურა განყოფილება: უცნაური კენჭის ყრა, სოფლის ხუცესის. —სათაზირა და საბჭო. —შეტქმულება ხელშეწყობის წინააღმდეგ. — შეიძლება თუ არა ქრისტიანებ თანაუგრძნოს რევოლუციას? (რუსული.) მღ. ნ. აბ —საძის. —კეთილი მავალითი მდიდარი მონასტრების და ქალაქის ეკლესიების წინამძღვართა და კრებულთა საყურადღებოდ, მ. ბ. ვაშაძის. —სწავლა-განათლების საქმე უცხოეთში. —ნეტავ რა უკვეს ჩვენ ფულს? (წერილი რედ. მიმართ). —ქურნალ-გაზეთებიდან. —რად გვიწოდეს პროვოკატორები? —ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მდინიარება ძრისტიანობაჲმ საჩუფუნოებასა და კეთილ-წყნობაჲმ: ღალატება ჯვარცმული ავაზაკისა, ი. ბალუევის. —მესამე მცნება. —განცხადება.

უცნაური კენჭის ყრა.

მოგსენება ჩვენს მკითხველებს ახალი უმოწყაღესი რეფორმა, ბოძებული სინოდისაგან წარსული წლის ოკტომბრის თვეში ქართლ-კახეთის და სამეგრელოს ეპარქიების „დელეგატებისაგან“ შედგენილი ოქმით გამოთხოვილი, ორი ეპარქიის სამსამღვდელოები: „დელეგატება“ და ოთხმა მღვდელთ-მთავარმა საკიროდ დანიახეს, რომ, ვინაიდან სამრევლოები უმეტეს ნაწილად აღარ აძლევენ მღვდლებს ღრამას და მღვდელთ მოქმედების აღსასრულდებად იმ საჩუქარს, რასაც იგინი სარჩოთ იხთიღნენ წინეთ, მიენიკოს უფლება, რომ სამღვდელთა და საპროტენიკო კანდიდატები მათ აღირჩიონო!.. მაგრამ ამავე ღროს სრულებით არაფერი არა სთქვეს ეკლესიის კრებულის ბინაზე და სარჩოზე. სხვაგან, რომ მომხდარიყო ის რაც ჩვენმა ხალხმა გამოიჩინა მღვდლების რჩენის შესახებ, დარწმუნებული ვართ, ესუფლება ჩამოერთმევედა. მაგრამ ჩვენ „დელეგატებს“ მიტომ მოუვიდათ ესეთი შეცდომა, რომ თვითონ სრულებით არ იციან რა არის ღრამა და როგორ ირჩენს მღვდელი თავს სოფელში. მღვდელი, რომელიც კათედრის ეკ-

ლესიაზე მსახურებს და კარგ ჯამაგირს იღებს, ამასთან ორას თუმნამდის სასწავლებლიდან იღებს, რა იცის მან სოფლის მღვდლის გაჭირვებული რჩენისა!..

მეორე რეფორმა გახლავსთ ბლალოჩინების კენჭის ყრით არჩევა.

სამღვდელოება თხოვილობდა, რომ ბლალოჩინების მაგიერ დაარსებულიყო საბლალოჩინო ოლქების საბჭოები და ამ საბჭოებს განეგო ყოველივე საბლალოჩინო სამღვდელოების საქმეები. საბლალოჩინო საბჭოს სამღვდელოების სურვილისამებრ შეადგენდა სამი მღვდელი, აღრჭეული მათგან და ერთი შედავითნე —მედავითნეებისაგან. მეტის ხმით არჭეული სამღვდელოებისაგან ითვლებოდა საბჭოს თავსჯდომარედ. ყოველივე საქმის წარმოება და მიწერ მიწერა ადგილობრით მღვდელთ-მთავართან კოლლეგიალურად სბჭოს უნდა ეწარმოებია და ბლალოჩინის წოდება სრულებით უნდა გაუქმებულიყო. იმ ბიუროკრატიული საქმის, წარმოებას რომელსაც დღემდის დიდი ასპარეზი ჰქონდა მთვოს სამღვდელოებაში, დარწმუნებული ვართ, ბევრ რამს სამარცხვინო მოქმედებას შესცკვლდა და ბოლოს მოუღებდა. რომ სინოდს და ადგილობრით მღვდელთ-მთავარებს აღსრულებითა კანონი-



რი თხოვნა სამღვდლოებისა. მაგრამ ოკტომბრის-ტების კრების მამებს ეს კი არ მოუთხოვიათ, არამედ მართკ ბლაღოჩინების კენჭის ყრით აღრჩევა უთხოვიათ, საქმიდან მაინც არ სჩანს რასაც იწერებოდნენ შინით. კანტორასაც ისეთი კენჭის ყრა შემოუღია, რომ მხელ დღემამისზე მისი მსგავსი არსად არა არის-რა. ვის გაუგონა, რომ კენჭის ყრით აღრჩევა იყოს შემოღებული, მაგრამ ერთხელ აღრჩეული პირი ჩველიამდის დარჩეს არჩეულად? ვის გაუგონა, რომ ბლაღოჩინად ირჩეოდნენ და ბლაღოჩინის თანაშემწედ მტკიცდებოდეს, ანუ მისი კანდიდატად? ბლაღოჩინის თანამდებობა სხვა არის და მისი თანაშემწის სხვა. ბლაღოჩინის თანამდებობაზე ცალკე უნდა მოხდეს კენჭის ყრა და მის თანაშემწეზე ცალკე. კანდიდატი რაღა საქირა? მაგრამ ეს მესამე პირი მითამ არის ჩაკეცებული, რომ სწორეთ სამი მღვდელი იქნეს არჩეული, ისე როგორც საბჭოს შეადგენდა სამი მღვდელი... ამაოპენ, რომ თუ საბლაღოჩინოდ არჩეული კაცი მღვდელთ-მავარს არ მოეწონა და რაიმე მიზეზი ნახა მასში შეუძლია დაითხოვოსო. თუ ეს მართალია კენჭის ყრა რაღა საქირა და სად არის აქ სამღვდლოებისათვის რეფორმის მინიჭება?..

ეს ახალი რეფორმა სამღვდლოებისა სწორეთ ოკტომბრის თვეში გამოცხადებულ კონსტიტუციას ვაგს!..

საქართველოში დარჩედა კანტორის უქაზი საბჭოების აღრჩევის შესახებ, მაგრამ იმერეთში ჯერეთ არავის მიუღია. რა მიზეზია—არავინ იცის. საბჭოს აღრჩევა უფრო საინტერესოა სამღვდლოებისათვის, ვინემ ბლაღოჩინებისა და ამისათვის ერთად უნდა ყოფილიყო სამღვდლოების კრება და არა ცალ-ცალკე...

ქართლში ზოგიერთ ადგილას ბლაღოჩინების კენჭით აღრჩევაზე იმ წესით, როგორსაც კანტორა ავადებს სამღვდლოებას, უარი განუცხადებიათ. იმერეთში მიყვეს ხელი, მაგრამ ზოგიერთი არჩევნები მღვდელთ მთავარს არ დაუმტკიცებია...

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საბლაღოჩინო ოლქს შეუძლიან დაადგინოს რომ სამი წლით იქნეს აღრჩეული როგორც ბლაღოჩინები ისე საბჭოების წევრები, შეუძლიათ ითხოვონ, რომ სინოდის კანტორის დადგენილება გაუქმებულ იქნეს. აგრეთვე შეუძლია სამღვდლოებამ აირჩიოს საბლაღო-

ჩინო კანდიდატები ცალკე და მისი თანაშემწის ცალკე, თანაშემწის კანდიდატი სრულებით საქირა არ არის.

ჩვენ ყოველთვის ბლაღოჩინების კენჭის ყრის მოტრფიალედ ვიყავით, მაგრამ იმეგარი კენჭის ყრის, რომელიც ეხლა მიანიჭა სინოდმა ჩვენი დღეღვატების ოქმით,—არასოდეს არ გავხდებით, რადგან ამ კენჭის ყრით სამღვდლოების უფლება კი არ აღდგინდება, არამედ სრულებით გაათახირდება.

რაკია წვაბაძოთ საერო წოდებაში თანამდებობის პირების დანიშვნას და ავერილოთ ისეთ რამეს, რომელიც არ არსებობს სხვა წოდებაში. დროა ჩვენი მოქმედება შეუთანხმოთ დროებით მოთხოვნილებას ისე როგორც ევროპის განათლებული სამღვდლოება იქცევა, თუ არ გვინდა, რომ სამწყსოს ჩამოვშორდეთ სრულებით და ყველას სხსაცნო არ გავხდეთ...

სოფლის ხუცესი.

სათათბირო და საბჭო

სს. სათათბიროს სსლამა 7 მაისს. სსლამა და იწყო გოლოვინის თავმჯდომარეობით. ს.-დემოკრატიები, ს.-რევოლუციონერები, სახალხო სოციალისტები და შრომის ჯგუფის წევრნი არ დაესწრნენ. წაიკითხეს შპ წევრის მიერ შეტანილი შეკითხვა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი. მინისტრს ეკითხებოან; მართალია თუ არა გავრცელებული ხმები. ვითომ ხელმწიფის სიკვდილი განეზარახოთო. შეკითხვა გრადე ზობრინსკიმ დაასაბუთა.

მინისტრა საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა: თუმცა სათათბიროს თავმჯდომარის მიერ გამოცხადებული შეკითხვა ისეთ დარგისაა, რომ მთავრობას უფლება აქვს ამაზე პასუხი არ გავცე, მაგრამ, გვესმის რა სათათბიროს წევრების აღშფოთებული სულიერი მდგომარეობა მისი უღიღებულესობის საღმრთო პარონების მოკვლის განზრახვის გაგონებაზე, ვალად ვრაცხთ გამოვაცხადოთ ამ საქმის შესახებ მთავრობის ცნობა, რომელიც დღეს გამოქვეყნებული იქნება „პეტერ. დემშათა სააგენტოს“ და „სოვეტ. ბიუროს“ ბიულეტენებშიო.

შემდეგ სათათბიროს თავმჯდომარემ წაიკითხა მორიგ საქმეებზე გადასაწყვეტი ფორმულა: „ხელ-



მწიფე იმპერატორის მოსალოდნელ განსაცდელი-საგან გადარჩენის გამო გულწრფელი სიხარულით გარემოცული სათათბირო, უცხადებს რა გულის წყრომას გამოაშკარავებულ საზოგადოებრივ განზრახვას, გადაღის მორიგ საქმეებზე.“

სათათბიროს წევრმა რენმაღ წაიკითხა მემარჯვენეთა მიერ შემუშავებული ფორმულა განცხადება შემოიტანეს, რომ ფორმულის შესახებ შესათანხმებლად ხელმა შესწყდეს, მაგრამ იგი უარყოფილ იქმნა. მიიღეს პირველი ფორმულა, სათხა და მწ წუთზე სათათბირო მორიგ საქმეებზე გადავიდა მემარცხენეც კოტ-კოტად მოგროვდნენ.

გრაფი ბაბინსკი. ამ ბოლო დროის საზღვარ გარეთულ და ზოგჯერ რუსულ გაზეთებშიც საშიში ცნობები იბეჭდებოდა, ვითომ ხელმწიფე იმპერატორის წინააღმდეგ შეუქმნლობა ყოფილიყოს განზრახული. ასეთ ცნობების შემდეგ ჩვენ, სათათბიროს წევრებს, არ შეგვეძლო მთავრობას არ შევკითხებოდით, რადგან ტახტის უზრუნველყოფა და მთელი რუსეთის უზრუნველყოფა ერთი და იგივეა. ჩვენ მოვალენი ვართ ორივეს ვემსახუროთ, თუმცა კანონი ნების არ გვაძლევს შევეკითხოთ ამის შესახებ მთავრობას, მაგრამ როგორც მე, ისე ჩემი ამხანაგები ვფიქრობთ, რომ სათათბიროს მოქმედება მუდამ მიმართული უნდა იყოს რუსეთის იმპერატორის ტახტის განდიდებისაკენ და მასთან განუყრელ რუსის ხალხის კეთილდღეობისაკენ. ამიტომ საკანონმდებლო მოღვაწეობა მჭიდროდ შეკავშირებული ხელმწიფის პიროვნების უზრუნველყოფასთან, რადგან უხელმწიფოდ რუსეთის არსებობა არ შეიძლება. თუმცა შეკითხვა ზოგიერთებმა და მემარჯვენე დეპუტატებმა შემოიტანეს, მაგრამ სურვილია ამ საქმეს უპარტოო ხასიათი მიეცეს. ხელმწიფის სახელის გაგონებაზე, რომელსაც მწარე სიკვდილი მოელოდა და იმ დღად განსაცდელის წინაშე, რომელიც შვიი ყოვანივით თავს დასტრიალებდა სამშობლოს, უნდა დადუმდეს პარტიული სხვა და სხვაობა. ერთხმად უნდა გამოვაცხადოთ, თუ როგორ უყურებს ბოროტ-მოქმედებს სახ. სათათბირო. ხელმწიფის კი წრფელის გულით განვუცხადოთ ჩვენი სიყვარული და ერთგულება (ტაში).

სტოლიპინი. ჩვენ ფიქრადაც არ მოგვიძლია, რომ მკვლევლები გაუზედავდნენ ხელით შეხებას

იმას, ვინც წარმოადგენს რუსეთის გახორციელებულ პარტიონებებსა და ძლიერებს, იმას. რომელმაც მიანიჭა რუსეთს სახალხო წარმომადგენლობა. ხოლო, ბატონებო, ჩვენ ძლიერ შევცდით: აღმოჩნდა, რომ ადამიანის ბოროტების საზღვარი არა აქვს, საზღვარი ფაქტობრივი იმ უფსკრულს, სადაც ადგებიან გამხეცველად ადამიანს სიყვარული და მძულვარების ანგელოზი. ახალი ბრუნვა, ახალი საზარელი სულის მღელვარება შეემატა ისედაც უკუღმართობით აღსაყვებ ჩვენ დროებს. ხელითა და გონებით უნდა დავცვათ ჩვენი ხელმწიფის მკვლარობა. ხოლო დღად ეროვნებათ იციან მრისხანე ქარიშხლის ატანა. ხელმწიფე დაიცავს თავის რუსეთს და რუსეთი დაიცავს თავის ხელმწიფეს. ვეცადოდ გულმშვიდად მოვიმინოთ ცნობები, რომელთაც გადმოგვცემს მთავრობა და დავიცვათ იმპერატორის ნიკოლოზ მე-II ს ძირითადი კანონები; ხოლო ამ დიდ-მნიშვნელოვან წუთში გამოსთქვას რუსეთში მოსახლე ყველა ერმა და თემმა, არა ერთისა, არამედ სხვა და სხვა ენით, ერთგულება ჩვენი ხელმწიფის მიმართ, სიხარული მკვლელთა ხელიდან იმის გადარჩენის გამო და ზიზღი იმ მოძალადეთა მიმართ, რომელთაც, როგორც სჩანს არ გყავთ 1881 წ. პირველ მარტის სირცხვილი და ფათერაკი. დღემდის ჩვენ ვხვდამდით, როგორ მამაცად იღუპებოდნენ მკვლელ რევოლუციონერების ხელისაგან ჩვენი ხელმწიფის ერთგული მსახურნი. დღეს ჩვენ ვხვდამთ, რომ სათათბიროს წევრნი აღმფოთებულნი არიან იმის გამო, თუ რამდენად უზრუნველყოფილია ხელმწიფის პიროვნება. სათათბიროს დასამშვიდებლად გამოავცხადებ იმ ცნობას, რომელიც დღეს გადავცემთ ცნობათა შემკრებ ბიუროს და დაიბეჭდება პეტერბურგის სააგენტოს დეპუტებში. (იხ. ქვემოთ).

ფორმულის მიღების შემდეგ, წაიკითხეს სახ. საბჭოს თავმჯდომარის ქალაქი იმის შესახებ, რომ საბჭომ არ შეიწყნარა კანონ-პროექტი სამხედრო საველე სასამართლოების გაუქმების შესახებ. წაიკითხეს სხვა და სხვა შეკითხვა. წაიკითხეს აგრეთვე შეკითხვა სა-დემოკრატიულ ფრაქციისა დეპუტატ ოზოლის ბინის გახრკისა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სტოლიპინმა სთქვა: მე არ მინდოდა დღეს ამ საგანზე ლაპარაკი და არც მოველოდი შეკითხვას. მაგრამ, როგორც



პოლიციის უფროსს მთელ სახელმწიფოში, არ შემოძლიან ორიოდ სიტყვა არა ვთქვა პოლიციელების დასაცველად, რამდენადაც მე ვიცი, საქმე ასე მომხდარა: პეტერბურგის პოლიციამ გაიგო, რომ ნევისკის ქუჩაზე იკრიბება კონტრაქტული რევოლუციონერული კომიტეტი, რომელსაც კავშირი აქვს სამხედრო ორგანიზაციასთან. ამ შემთხვევაში პოლიციას არ შეეძლო არ შესულიყო ბინაზე და არ გაეზიარა იგი. არ დაიფიქროთ, რომ პეტერბურგში საგანგებო დაცვის წესებია და საქმეც საგანგებო იყო. ამ რიგად, პოლიცია უნდა შესულიყო ბინაზე და კარგადაც მოიქცა, რომ შევიდა. ბინაზე მართლა აღმოჩნდნენ დეპუტატები, მაგრამ იქ გარეშენი იყვნენ, სულ 31 კაცი. ამათ აღმოჩნდათ სახელგამტები საბუთები. დეპუტატებს პოლიციამ წინადადება მისცა, ხომ არ მოისურვებენ თითონვე სთქვან, რა მოვბოვებათ და რა აქვთ შენახული. ზოგნი დასთანხმდნენ, ზოგმა კიდეც უარი სთქვა. არაერთი ძალმობრეობა არ მომხდარა და ჩხრეკის გათავებამდინ ყველანი ბინაზე დარჩნენ. პოლიციის გასასამართლებლად უნდა ესთქვა, რომ მეორედ დღეს მოხდა დამატებითი ჩხრეკა პოლიციისა და გამოამაჟებლების მხრივ. აღმოჩნდა, რომ დეპუტატოზოლის ბინას კავშირი აქვს სამხედრო სარევილიუციო ორგანიზაციასთან, რომელსაც აზრდა აქვს ჯარის აჯანყება. უნდა პირდაპირა ესთქვათ, რომ პოლიცია შემდეგშიაც ასე მოიქცევა (ტაში მარჯვნივ) უკანონო არა მომხდარა რა. თუ წეროლიბანი რამ მოხდა, შემდეგ გამოირკვევა. უნდა ვთქვა, რომ ჩვენ ვალად გვაძევენ დეპუტატთა ხელუხლებლების დაცვის გარდა, საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დაცვა. ჩვენი მოვალეობა ვიკით და ბოლომდე შევასრულებთ. ეხლაც მთელი რუსეთის წინაშე ვაცხადებთ, რომ პოლიცია ისევე მოიქცევა საშინო ხმების დროს, როგორც აქამდე იქცეოდა და საზოგადოებრივ უწყებაც თვის მოვალეობას შეასრულებს და დამნაშავეთა აღმოჩენას შესძლებს (ტაში).

საქტაოფის ს.-დემი. სახელით მოითხოვა შეკითხვის ცხლავე განხილვა და სთქვა, მთავრობას უნდა რაც შეუძლება მეტი დეპუტატები შეიპყროს და სათათბიროს მოქმედება შეაჩეროსო.

სტიშინსკამ და მადვარტკამ მოითხოვეს შეკითხვის ცხლავე განხილვა.

სათათბირომ ხმის უმეტესობით დაადგინა, შეკითხვა ცხლავე განხილოს.

ბაბინსკიმ სთქვა, შემარცხენთა ყოფაქცევის შემდეგ სხდომის დაწყებისას, შემარჯვენებს არ შეუძლიანთ ვულ დამშვიდებით განხილონ საქმე ორიოდ საათით რამდენიმე კაცის გაჩერების შესახებ, იმ კაცებისა, რომელთაც დაიფიქრეს თავიანთი ხელმწიფე (ტაში მარჯვნივ, ხმაურობა მარცხნივ).

თავმჯდომარემ სთქვა: უნდა გავახსენო სათათბიროს, რომ პირველ საკითხის შესახებ ფორმულა ერთხმად იქნა მიღებული (ტაში).

15 მაისს სხდომა მოხდა გოლოვინის თავმჯდომარეობით. პირველად წაიკითხეს ფინლიანდის სეიმის მიერ გამოგზავნილი მისასალმებელი დეპეშა, რომელსაც ტაშის ცემით მიგვებნენ.

წაიკითხეს იუსტიციის მინისტრის მოხსენება დეპუტატების კარტაშვისა და კირიენკოს სამართალში მიცემის შესახებ.

მიიღეს კანონ პროექტი 17 1/2 მილიონ მანეთის გამოსაკვეთ-სათესლედ გადადების შესახებ.

შემდეგ დაიწყო კამათი საყოველთაო სწავლადანათლების საკითხის შესახებ. თავმჯდომარემ წინადადება მისცა სათათბიროს. კენჭი უყაროს საკითხს: სათათბირომ კამათის დროს ისარგებლოს თუ არა ნაკანის მე-54 მუხლით. ამ მუხლის ძალით სიტყვა უნდა წარმოთქვას მხოლოდ ერთმა ორატორმა. სათათბირომ 167 ხმის უმეტესობით 156 ხმის წინააღმდეგ უარ-ჰყო ეს წინადადება.

ამის შემდეგ დაიწყო კამათი.

საკვას აზრით, მინისტრის კანონ პროექტის მიღება შეუძლებელია, რადგან იგი შილაშის არა სდებს მალგორსებისა და რუსეთის სხვა ხალხების საქარობას.

სეგსტმა სთქვა: უკრაინაში რუსული ენა არ ესმისო. მინისტრის კანონ პროექტის მიღება არ შეიძლება. უკრაინის სკოლებში სწავლა მალგორსოვლად უნდა იყოს და თან რუსული ენაც უნდა ასწავლოთ. (ტაში).

კანუსტინის აზრით, სკოლის საქმე მთლად დაეკისროს ადგილობრივ თვითმმართველობას.

ბერეზინამ მოითხოვა კანონპროექტის კომისიაში გადაცემა, მოითხოვა აგრეთვე პოლიციის

სამინისტროსაგან დამოუკიდებელი სკოლა და მსაწავლებლები.

მასშტაბურმა დაახასიათა მთავრობის დამოკიდებულება მაჰმადიანების სკოლებისადმი და ვეღაუშმა და პულატმა იგივე დამოკიდებულება ლიტველ სკოლებისადმი.

მანქლებურგმა ილაპარაკა ებრაელების შევიწროებაზე სწავლა-განათლების საქმეში.

ლოსკეის აზრით, მთავრობა დაბალ წოდების ხალხს სწავლა-განათლების გზას არ უხსნიდა და ამიტომ სასწავლებლებს ვიწრო წოდებრივი ხასიათი აქვს.

კამათი შესწევითეს და დაადგინეს, რომ საერო განათლების სამინისტროდამ მიღებული ყველა კანონ პროექტი კომისიას გადაეცეს, რომელიც უნდა შესდგეს 55 კაცისაგან.

შემდეგ ერთხმად დაადგინეს აირჩიონ 16 წევრიანი კომისია საეკლესიო კანონმდებლობის საკითხებისა და გადასცენ მას იუსტიციის მინისტრის მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი შესახებ კლ-მკრობის განქორწინებისა.

შემდეგ მიიღეს წინადადება შესახებ 33 წევრიანი კომისიის არჩევისა ადგილობრივ თვითმართელობის საკითხების განსახილველად.

გესენმა წინადადება შეიტანა, რომ დაუყოვნებლივ აირჩიონ კომისია საეპრო მინისტრისაგან შეტანილ კანონ პროექტის განსახილველად საეპრო დაწესებულებებში მოსაშახურეთა დასვენების შესახებ. წინადადება მიიღეს.

მერე მიიღეს ორის შეკითხვის საჩქარო განხილვა; ერთი ეხება ბალტიის მხრის გენერალ-გუბერნატორის მიერ ორის სოფლის უკანონოდ დაჯარიმებას, მეორე სინოდის დადგენილებას ტუხინსკისა, ბრილიანტოვისა და სხვა მღვდლების შესახებ. სხვა შეკითხვები—შესახებ გენერალ ტაუბეს ბაქოში, სედლეცის აწიოკებისა და ბალტიის მხარეში დამსჯელ რაზმების მოქმედებისა—გადასცენ კომისიას. კომისიასვე გადასცეს შეკითხვა პეტერბურგის გრაფონაჩალნიკის მოქმედებაზე შესახებ პროფესიონალურ კავშირებისა.

შემდეგ შეუდგენენ მემარჯვენეთა მიერ შეტანილ წინადადების განხილვას იმის შესახებ, რომ კაცობა გამოეცხადოს. რეინი თხოულობს, რომ თუოდ დანიშნოს დღე ამ წინადადების განხილ-


ვისათვის.

ნუბოვიდოვის აზრით წინადადების გარჩევა სათათბიროს საქმე არ არის. ასე რომ იყოს, შეიძლება სათათბიროს წინადადება მისცენ: გაჰკიცხონ სხვა მოვლენანიც, მაგალითად საფრანგეთის პალატის დადგენილება სახელმწიფოსაგან ეკლესიის განშორების შესახებ. აღსუშვმა განაცხადა, რომ წინადადება ტერორის გაკაცების შესახებ უნდა უარ-ყოთ- რადგან ეს წინადადება შემოიტანეს მემარჯვენეებმა, რომელნიც ხალხის წარმომადგენლობით იდგეს სახელს უტეხენ და ამცირებენ; სურათ დებუტატები სათათბიროს გარეკით დააშინონო.

გზის. ევლოვის აზრით, ხსენებული საკითხი იმ დარგისა, რომლის წინაშე უნდა დადუმდეს პარტიული სხვა და სხვაობა. კაცის სისხლით შეღებოთ სახავენ განმთავისუფლებელ მოძრაობის გმირად. ზოგიერთა მათგანმა ცოტა თუ ბევრი თავგანწირულება გამოიჩინა, მაგრამ ისინი გმირები კი არა, ფანტიკოსები არიან (მარცხნივ ხმაურობა, თავმჯდომარე ზარსა რესეს)- ვისთვისაა საიდუმლო, თუ რა ხალხი იღებს მონაწილეობას განმთავისუფლებელ მოძრაობაში? მკვლელობა ორი სამი მანეთის გულსათვის, ძარცვა გლეჯა და ქურდობა კომიტეტის დადგენილებით—აი მათი დასურათება.

კამათი გათავდა. 215 ხმის უმეტესობით 146 ხმის წინადადებე სათათბირომ უარ-ჰყო წინადადება ტერორის გაკაცების შესახებ. სათათბიროს აზრით, ასეთ საკითხის განხილვა სათათბიროს საქმე არ არის.

ცარსკე სელოს სასახლეში ხელწიფემ მიიღო ზომიერი და მემარჯვენე დებუტატები, რიცხვით 19 კაცი.



შეთქმულება ხელმწიფის წინააღმდეგ.

მთავრობის განცხადება.

სახელმწიფოს სათათბიროს 7 მაისს სხდომაზე მინისტროთა საბჭოს თავმჯდომარემ შემდეგი გამოაქვეყნა:

„მა წლის თებერვალში, საზოგადოებრივ წესიერების დამცველ პეტერბურგის განყოფილებას მოუვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ სატახტო ქალაქში შესდგა ბოროტგანმზრახველი საზოგადოება, რომელმაც მახლობელ საგნად დაისახა ტერორის-

ტულ აქტების მოხდენა. ამ ცნობის გამოსაძიებლად და გამოსარკვევად დაწესებულ იქმნა ხანგრძლივი და ფრიად გამძლეული თვალყურის გდება, რომელმაც მართლა აღმოაჩინა; ეს ჯგუფი შედიოდა ზემოდ აღნიშნულს საზოგადოებაში და ამის წევრებთან პირდაპირი დამოკიდებულება ჰქონდა. გამოირკვა, რომ ამ პირთ ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთში და ხედვოდნენ ერთმანეთს საიდუმლო ბინებზე. რომელთაც ხშირად იცვლიდნენ. 31 მარტს შეთქმულთა ჯგუფი, 28 კაცისაგან შემდგარი, პოლიციამ დაატუსაღა. 4 აპრილს წესიერების დამკვიდრებელ განყოფილებამ გადასცა პეტერბურგის სასამართლო პალატის პროკურორის ის საბუთები, რომელთა ძალით დატუსაღებულ იქმნა ოცდარვა კაცი. თავის მხრივ პალატის პროკურორმა ამ ცნობებიდან ის დასკვნა გამოიყვანა, რომ აღბად ყოფილა მთავრობის წინააღმდეგ საზოგადოება, რომელსაც აზრად ჰქონია რუსეთში მართვა-გამგეობის წეს-რიგის შეცვლა (102 მუხ. სისხ. სამართ.), ამიტომ იმავე 4 აპრილს პროკურორმა წინადადება მისცა პეტერბურგის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამოძიებელს შესდგომოდა საწინასწრო გამაძიებას, რაც დაუწყებელივად ასრულებულ იქნა. გამოძიება სწარმოებს სასამართლო პალატის პროკურორის ხელმძღვანელობით. ჯერ-ჯერობით გამოძიებით დამტკიცდა, რომ დაპატიმრებულთაგან ბევრნი ეკუთვნიან ს.რევოლიუციონერთა საზოგადოებას, რომელსაც მიზნად დაუსახავს ხელმწიფე იმპერატორის, დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოკვლა. ამასთანავე ამ საზოგადოების წევრები საშუალებას ეძებდნენ, როგორმე იმ სასახლეში შესულიყვნენ, სადაც სცხოვრობს ხელმწიფე იმპერატორი, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს“.

როგორი პოლიტიკური მუხრუქი სუფევდა ვერაპაში და რა განიცადა სარწმუნოების სფერაში ეკლესიამ და სამღვდლოებამ.

ამ შემთხვევაში საყურადღებო არის ჩვენთვის მიოვრონოთ პარიის კომპანია. ისტორიკოსი ლეკანეე „Le corr spndant“ დაწვრილებით მოვიხირობს იმ სიძულვილს და დევნას კათოლიკეთა ეკლესიისას, მოკლევ დროის, მაგრამ საშინელ კომუნის მმართველობის ხანაში.

უფალმა დაიცვა თვისი საყდრები უფრო, ვინემ ძლიერთა თავის სასახლეები, ამბობს საფრანგეთის მწერალი, როდესაც კომუნარებმა განიხილეს აღფხვრათ პარიისაგან ქვეყანისა, რაც კომუნარებმა მათ ქრისტიანობას. დროებითმა რევოლიუციონერმა მთავრობამ დააღწია თავის დეკრეტით: „გამოყოფა ეკლესიისა სახელმწიფოსაგან“. პარიე დაიპყრეს, დიქტატორთა შორის უმრავლესობა იყო ისეთი შეუგნებელი, უფიცი რომ უმრავლესად სავნები არ გაეგებოდათ.

ამ შეუგნებელ ხულიანთა ბრბოს აზრით ეკლესიის გამოყოფა თანასწორებოდა ქრისტიანობის მოსოხებას. ერთმა პარიკმანერმა, რაულ რიგო უბასუხა მღვდელს, როდესაც წინააღმდეგობა გაუწია ამ უკანასკნელმა ძვირფასი ხატების მითვისებისათვის: „რევოლიუციის მიზანი არის: მოსპობა ღმერთი, სარწმუნოება და ხუცები, ისეთ რომ ერთი ნასახიც არ უნდა დარჩეს მათი“.

ამ გვარ სასაცილო ამბავს სწერს ოფიციალური ჟურნალი 1871 წ. 20 აპრილის. „რევოლიუციო 71 წ. გამოხატულება ატეიზმისა (ღმერთის არსებობის უარის ყოფის); რევოლიუციო სდენის სარწმუნოებას. ჩვენ არ გვსურს ბუტბუტი, რომელსაც ხუცები უწოდებენ ლოცვას, ჩვენი დედების სასაფლაოზედ და ჩვენის ცოლების შერთვის დროს. ამ პრინციპით აღჭურვილი საფრანგეთის კომუნა სდენიდა სამღვდლოებას, არ აქცევდა ყურადღებას არც წლოვანებას, არც რაიმე კეთილმოღვაწეობას, ამა თუ იმ სამღვდლო პირისას, სასულიერო წოდების მოკლულ პირთა რიცხვი პარიის არქივების კომპოზიურთ იმდენი იყო, რომ განსაკვირებელი ეკითხები შენ თავს: როგორ მოხდა ამისთანა დევნა სამღვდლოებისა და მათი ხოცვლელთა განათლებულ საფრანგეთში 19 საუკუნის ბოლოს? აღბად სიძულვილი და ზიზღი ქრისტიანობისადმი“.

ზმიძლება თუ არა ძრისტიანებ თანაუზგაძნოს რამოლიუციისა?

(რუსულიდან).

რევოლიუციით აღღვებულნი, ქირით და ვარამით მოკლული ვრი, რომელსაც ჩვენი დროის ხანა წარმოადგენს გვაიძულებს მოვიგონოთ—ევროპის ისტორიის ვაკვეთილები და შევიტყოთ თუ

როგორი პოლიტიკური მუხრუქი სუფევდა ვერაპაში და რა განიცადა სარწმუნოების სფერაში ეკლესიამ და სამღვდლოებამ.



ნობისადმი იქამდის მივიღა, რომ დაავიწყებიათ კომუნარებს ნამდვილი კაცობრიული გროზაკ და პირუთენელი გონების თვლით საქმის აწონ-დაწონაც. იმათი ზიზღი მიმართული იყო უსულო საგნებზედაც, საუწმინდურებდნენ ეკლესიებს, სპობდნენ ჯერებს, ათელი წიგნებს, ჭანდაკებათ, ხატებს. შესამოსელს...

„თავისუფლება სინდისისა“ გამოაცხადა კომუნამ, მაგრამ ამ ღერევის წინააღმდეგაც იქცეოდნენ: არაფის არ შეეძლო პირჯერის გამოსახვა, ღვთის სახელის ხსენება, რომ საპყრობილემი ან სახარამებლად არ გამოეყო თავი. ეკლესიებს კეტავდნენ, მღვდლებს სდევნიდნენ, ეკლესიის ქონებს სპობდნენ და იტაცებდნენ. ეს მტაცებლობა იწოდებოდა „კონფისკაციათ“. მთვრალი მილიციონერთა ბრბო შევარდებოდა ხოლმე ეკლესიაში, წირვას აწყვეტინებდა მღვდლებს და თითონ ებატონებოდა ეკლესიის ქონებას. ხსნიდნენ ძვირფას ხატებს, ამტვერვდნენ სტატუტებს, ხევდნენ ხოლმე შესამოსელს და წიგნებს ბიბლიოთეკებში. თუ ვინმე მღვდელთაგანი გაბედავდა და აჩვენებდა მთავრობის განკარგულებას მათი საწინააღმდეგო მოქმედებისთვის, მაშინვე კომუნის დელეგატი რველვერით უბასუხებდა. „თ ჩვენნი მთავრება, სხვანორი მთავრობა ჩვენ არ ვიცითო“. კომუნის დელეგატები ლე-მუსესო და ფროსარი, რომლებიც წარმოადგენდა თანამედროვე უკიდურეს ხულიგანთა წრებს, ათრევდნენ ქუჩა ქუჩა ძვირფას საეკლესიო ნივთებს.

წმ. ევგენის ეკლესიაში მოხუცმა მღვდელმა წააგლო ხელი ნაწილებიან ბარძიმ ფეშუქს და დაშალვა მოინდომა. მაგრამ დაიპირეს იგი, წარათვის ბარძიმ ფეშუქში და ჩააფურთხეს შიღ.

წმ. იოანე ფრანცისკის ეკლესიაში 12 წლის ბავშვი გააუწმინდურა სანათლაკი ემბაზი.

წმ. იაკობის ეკლესიაში ბრბომ თოფები დაუშინა ი. ქ. ძეგლს, ძალები ჩაავდეს ნაკურთხ წყალში, მისცეს პირში ღვთის მშობლის ძეგლს პაპიროზი მახორკის.ჯვრები, სანაწილეები, შესამოსელი, საცეცხური და შანდლები ჩაპყარეს მილიციონერებმა უწმიდურ ტომრებში და დაპყარეს ქუჩაში, ვადადიოდნენ და ვადამოდოდნენ ზედ. რაც ძვირფასი რამე იყო ოქროულობა და ვერცხლუფლება მალე ინაწილებდნენ და ჯიბეში ილა-

გებდნენ. სხვას უფრო მდარე ნივთებს მცირე ფასში ყიდდნენ ურბეში, რომლებიც შემთხვევით სარგებლობდნენ და დასდევდნენ მილიციონერებს. არ შეიძლება დაახლოვებით ითქვას რამდენი მილიონი ზარალი მოუვიდა საფრანგეთის ეკლესიებს, რამდენი ძვირფასი ძველები, ხელოვნური ნაკეთები ქვის, ძვირფასი ნაწერები და წიგნები დაიღუპა, რამდენი დაუფასებელი მასალა იყო ისტორიულ არხეოლოგიისთვის.

პარიის ღვთისმშობლის ეკლესიაში 300,000 მანათის ზარალი იყო, ეს ზარალი უფრო ნაკლები იყო სხვა ეკლესიებთან შედარებით, ამ ეკლესიას უშველა საეპიმო პერსონალი, რომელიც იცავდა და თავს დებდა პარიის ლეონინშავ ნოტარდამის დაცვაში. თუმცა ეს უკანასკნელ კომუნამ გადაწყვიტა დაეწვა და ნაკრად ექცია.

მღვდლების განდევნამ, საეკლესიო ღვთისმსახურების შეჩერებამ, ვერ დააკმაყოფილა კომუნარები. დაუშლეს რა ქრისტიანებს ლოცვა იმ დროს კი. ებრალდები ძველებურად დადიოდნენ სინაგოგაში და ლოცვოლობდნენ. ყაჩაღთა ბრბომ ეკლესიები გადააქცია საჯინებობად. ერთ ძენელია ითქვას, რაც იქ ხდებოდა.

წმ. პავლე კისნეთის ეკლესიაში მიუღერმა შეიტანა ბოჯით არაკი საკურთხეველში, შევიდა გასერილი ფეხებით ტრაპეზზე, ჩაასხა სანაწილეში და რიგ რიგობით უწოდებდა მილიციონერებს და ასმევდა.

წმ. ლევის ეკლესიაში ვილაც კობოსკო შეიმოსა მღვდლის შესამოსით, დაიწყო ღვთისმსახურება თავისებურად, გათავებისას აქრობს სანთელს და აძღვეს ნებას ორთავე სქესის პირთ—უწესოების ჩადენისას.

იღებენ ეკლესიებიდან დამარხულ თავის ქალას. „ნასწავლი გამოძიებლები“ (რომელთა შორის იყვნენ 17 წლის ბავშვები). არწმუნებენ კომუნარებს, რომ ეს თავის ქალი ეკუთვნის ქალებს, რომელიც ბერებს სქესობრივ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ გამოუსალმებიათ წუთისოფელს, და ცოცხლათ ჩაუმარხავთ მიწაში.

რველოე უციონრამა „თავისუფლება“ ბეჭდვით გამოუშვა გაზეთებში იმისთანა საზიზღარი ცილისწამება ბერებზე, რომელიც ძველი სათქმელია. წინააღმდეგის წერა, თავის გამოართლება აბა



ვის შეეძლო, საპრობილეს და სახარობელას შიშით? ებრაელების რაბინებს ხელს ვინ ახლებდა, იმით სარწმუნოებას არავინ არ ეხებოდა!..

ღვთისმშობლის ეკლესიაში ნახულობენ სტატუსის წმ. მოწამის ვეგენიასას, რომელიც გამოგზავნილი იყო პაპა პიის IX-სგან, თავი მოოქერილი იყო ოქროს ვარაყთ. მილიციონერებმა წამოავგეს შტიკზე და გადაადგეს შორს, რომ ხალხს არ ენახა.

პრესსა უწოდებს ხალხს, ნახოს საბრალო მხვევრბლი ახალგაზრდა ქალიშვილისა, რომელიც ბერებს უწამებით და გვამის გაქრობა ვეღარ მოუსწროათ...

ზოგან შეუდგენენ ეკლესიების დანგრევას. ეკლესიებში, რომელნიც გადააკეთეს კლუბებად ისმოდა ყვირილი: მოსპვეით სამღვდელთა პირნი, ვინც საპრობილესში ან ქალაქში იმყოფებიანო.

უარეს ცინიკურ სცენას წარმოადგენდა ქალთა კომუნა. ბატინიოლი შრეცხელი (პრაქა), თხოულობდა ცოცხლად დაეწვათ არქივისკოპოზი ღვთისმშობლის სობოროს წინ. მეორე მისი ამახანაგი ლუიზა მიშელმა წინადადება შეიტანა გაეკეთებოდა ბარაკები ტომარებისა ბერებისგან და მონაზვნებისგან.

მიაქეთ ნათი და წამალი ეკლესიების შენობების ახლო და უნდათ გადასწვან იგინი. პირველათ პარიყის წმ. ენევიევის სობოროს მიადგენ. შევიდა სახურავზედ ორი კაცი, მოხსნეს სახურავი, დასვეს წითელი ღროშა, ჯგარი ძირს გადმოადგეს.

„დანგრეთ ეკლესიებში“ უბრძანებენ კომუნარები, „დაუშინეთ ტყვიები ეკლესიებს“, ბრძანებს არტაგორიის გენერალი ვდა, რომელმაც პირველად დაქურდა და შემდეგ დასწვა სასახლე „პოჩეტნი ლეგიონ“-ისა (Почетный Легион).

არ დარჩენილა ერთი ეკლესია, რომ არ მიეტანათ ბოჩკით წამალი, და თუჯის ქვაბებით კეროსინი. მაგრამ უფალმა დიცივა თვისი ეკლესიები, — რამოდენიმე ასს ეკლესიებში დასწვეს მხოლოდ ერთი.

ცეცხლის მქრობელ კომანდას არ უშვებდენ ალით მოკულ ეკლესიების ჩასაქრობად. რამოდენიმე ქალები დასდევდენ კომუნარებს ჭ ხელს უწყობდნენ ქალაქის აოხრებაში. ერთმა მათგანმა

რევოლვერით მოჰკლა მაიორი, რომელიც არ დაემორჩილა მისს გახრწნილ ზნეობრივ დაცემულებას.

აი რას ჩადიოდა 1871 წელში საფრანგეთის სახელმწიფოს მამულის შეილები!.. აი სადამდის მიალწვეს ზოგიერთების დაცემულობა და გონებით სიბრძნე. დიად, კაცი როცა ჰკარგავს ღვთის მსგავსებას და ხატების იგი ყოველ ველურ ცხოველზე უარესია. მაგრამ ძლიერ მოკლეა დრო ბოროტების პარაზობისა... ჩვენშიც ისე როგორც პარიზში 71 წელს თავი იჩინეს ზენ დაცემულებმა, დასწვეს ეკლესიები, გაიტაცეს საეკლესიო ნივთები და მოკლეს რამდენიმე მღვდლები ვითომ განმათავისუფლებელი ხალხის მოძრაობის გამო. მაგრამ ტყუილი თავის გამართლებათ!.. ესეთი ბოროტი პირები ხალხის კეთილდღეობისთვის მზრუნველები არ არიან! ესეთი პირები ნამდვილი რევოლუციონერები კი არ არიან, არამედ ქურდები და ყაჩაღები, რომელთაც არ ესმისთ თუ რა არის რევოლუცია... გადახედეთ ეხლა პარიზის ქალაქს და დაათვილიერეთ ქალაქის შემკობილი და ძვირფასად მორთული ეკლესიები. დააკვირდით ხალხის მსჯელობას ამ კომუნარებზე: რას ამბობენ მათზე და როგორ ზიზღობისენიებენ მათ!..

ჩვენში, მაღლობა ღმერთს, არა არის-რა პარიზის გამხეცებული კომუნარების მოქმედების მსგავსი, მაგრამ მინც ხალხი ძლიერ შეწუხებულია და ფიქრობს, რომ სწორეთ მეორე მისვლის დრო დადგაო. ძლიერ შემედარნი არიან ვინც ასე ფიქრობს. უნდა ახსოვდესთ ყველას მაცხოვრის სიტყვა, რომ ბქენი ჯოჯობეთისანი ვერ ერეოდენ ეკლესიასო და ეს სიტყვა არ მოიშლება სანამ ქვეყნიერება იარსებებს—სასწმუნოება უფრო გაცხოველდება ეშმაკის ძალის ღვენიათ ისე როგორც ვერცხლი გაადულების შემდეგ უმეტესად ხალხსდება...

მღვ. ნ. აბ—საქე.

კათილი მავალითი მდიდარი მონასტრების და ქალაქის ეკლესიების წინამძღვართა და კამაშულთა საშუკადლოდო.

რწმუნებულს ჩემდამო ზედარგნის წმიდის მთავარანგელოზის ეკლესიის გამწვენებისთვის შემწეობა ესთხოვე სხვა და სხვა ღვთის მოყვარე პი-

რებს, ზოგმა კიდევ შემოსწორა ამ ხსენებულ ეკლესიას სხვა და სხვა უსაქიროესი ნივთები და ზოგნი ეხლაც მპირდებიან დახმარებას; სხვათა შორის, წარსული 1906 წლის 28 დეკემბრიდან თხოვნით მიემართე ქალაქ კიევი კიევის „ზლატო-ვერხო-მიხაილოვის“ პირველი კლასის მონასტრის წინამძღვრის, ყოვლად სამღვდლო ეპისკოპოსის მოადგილეს (ნამესტნიკს) მამა არქიმანდრიტს მიტროფონეს, რომელსაც მოკლედ აუწყერ ეკლესიის უკიდრებელი საქიროება. ამა მიმდინარე წლის 7 თებერვლიდან № 100 იმავე მონასტრის მმართველისაგან მივიღე შემდეგი შეწირულება: 1) ერთი ხელი სრული კარგი შავი ხავერ. შესამოსელი 2) მწვანე აბრეშუმის დაფარები წმიდა ბაიძიმ-ფეშუბისათვის; ეს ნივთები ცოტათი ნახშირი არიან, მაგრამ სულ რომცირედ დავაფასოთ ყველა-ყველა ერთად კიდ ღირს ჩვენი ეკლესიისთვის არა ნაკლებ 40 მანეთისა; (40 მან.) მე და ჩემი სამრევლოს მხრით უღრმეს მადლობას მოვახსენებ კიევის „ზლატო-ვერხო-მიხაილოვის“ მონასტრის წინამძღვრს ყოვლად უსამღვდლოესს მეუფეს და მის მმართველობას, რომ აქ შორეულ ღარიბ ეკლესიას მოაქცია თავისი კეთილი ყურადღება და შემწეობა აღმოუჩინა.

ეს შეწირულება ნამდვილ მგალითად და მისაბამად უნდა ჩაითვალოს ჩვენი მონასტრის და ქალაქის მდიდარი ეკლესიების წინამძღვრებისთვისაც; თუ კი შორეული რუსეთის მონასტერი მიაქცევს ყურადღებას ჩვენს ღარიბ ეკლესიებს, მით უმეტესად ზნეობრივად უფრო მოვალენი არიან ჩვენი ადგილობრივი მონასტრების და ქალაქის ეკლესიების წინამძღვრნი და კრებულნი, რომ თავიანთი სამშობლო ღარიბ ეკლესიებს ნივთიერი დახმარება და შეწირულება აღმოუჩინონ შეძლებისა და გარდა; საზოგადოდ ყველა ჩვენს მონასტრებზე და ქალაქის ეკლესიებზე საყვედური არ გვეთქმის, რადგანაც ზოგიერთი მათგანი სოფლის ღარიბ ეკლესიებს უზუნაინან ხმარებიდან გამოუსულს ნივთებს, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ზოგიერთს სოფლის მონასტრებში და ქალაქის მდიდარ მონასტრებში და ეკლესიებში როდესაც საეკლესიო ნივთები გამოვლენ ხმარებიდან, ნაკვლად იმისა, რომ მადლის გულისთვის მათთვის გამოუღებარი ნივთები სოფლის ღარიბს ეკლესი-

ებში გამოგზავნონ სახმარებლად, დაწყობენ ნივთების საწყობა შეაფებში და საღაროებში, ანუ საკუწნაობში და იქ ყოვლად უნაყოფოდ და უმნიშვნელოდ ინახებიან დიდი ხნის განმავლობაში და რამოდენიმე წლის შემდეგ, როცა ეს ნივთები დაიხრწებიან, დაღვებიან და დაფორდებიან, მხოლოდ მაშინ გამოიღებენ არხივიდან და ცეცხლს მისცენ.*

ზედარგნის წ.-ის მთავარანგელოზის ეკლესიის მღვდელი. ბ. ვაშაძე.

* ჩვენს მონასტრებს, სამწუხაროდ, თითქმის არცერთს არა აქვს ზედმეტი, რომ სოფლის ღარიბ ეკლესიებს მისცეს ძველი შესამოსლები. რუსეთის მონასტრების მდგომარება სულ სხვა რიგად არის მოწყობილი. იქ მონასტრებს დიდი მამულები აქვს და დიდი შესავალი შეუდის. წინამძღვრს 15—20 ათას მანვამდე შეუდის და საღმრთო—არქიმანდრიტებს (იგულისხმებ მიტროპოლიტებს) 40 ათას მანვთზე მეტად შეუთ. ისინი ოქროს ფერს ფარჩას ალაბს 25—40 მან. კიდულდებენ, რასაკვირველია, მონასტრის ხარჯით, და ერთი ლაქა თუ დაჩანდა საღმრთო იმას უფარგისად ჩასთვლიან!.. ჩვენ მონასტრებს საეკლესიო მამულები ჩამორთები; საზოგადოება იქით კი არ სწირავს, არამედ ზოგიერთები კიდევ გლეჯენ და ცარტყვენ და რა უნდა გაღარჩეს მათ, რომ ღარიბ სოფლის ეკლესიას დაურთავს!.

განსვენებული ჩვენი მღვდელმთავარი გაბრიელი, როცა მეტყოდენ კარგი საღმრთოაწაწული შესამოსლის ალაბ ფარჩას 8—10 მანეთს აფასებნო, შეშფოთდებოდა და იტყოდა: როგორ შეიძლება თუმანი მისცეს ერთ ალაბში კაცმა? კაცმა რომ არაფერი გვითხრას ღმერთს რა პასული მავსცეთო ამისთანა ძვირფასი შესამოსლის შექმნისათვისო..

უკანასკნელ ღროს როცა დაეადამყოფდა ნამეტანი შრომით ნატარხსენიებული მღვდელთ-მთავარი ექიმებმა ფიქტონთ სირულთ ურჩიეს. მოუყვანეს მშვენიერი ცხენები შეშებული ფიქტონი, ჩასვეს და წაიყვანეს სასიერნად ჭომისკენ. გზაში ჰკითხა თავის მღვდელს:

- ვისოა ეს მშვენიერი ცხენები და ეს ფიქტონი?
- ეს ფიქტონი და ცხენები თქვენი თანაშემწის მღვდელთ-მთავრის ბესაროინის არის, მოახსენესო.
- მე კი არ ვყოფილვარ, უმფროსი მღვდელთ-მთავრის ყოფილა!.. ჩემს სიცოცხლეში არასოდეს არ მქონებია ფიქტონი და არც ამისთანა ცხენები მყოლია, სთქვა მოქანტულმა მღვდელთ მთავარმა, რომელსაც დიდნად მღვდელთ-მთავრად დანიშნისა. ერთი თვის თავისუფლებითაც არ უსარგებლნია.

რედაქტორი.



სწავლა-განათლების სამე უსსრეთში.

ჟურნალ-გაზეთებიდან

გერმანიაში არის პატარა სახელმწიფო, რომელსაც ჰქვიან ვეიმარ-ს საპრეტოგო. სივრცე სახელმწიფოთა სიმა ათას ასი (3100) ოთხ-კუთხი ვერსია. შედარებით ეს სახელმწიფო თფილისის მზარაზე ნაკლებია. ჰერცოგის მთელ სამფლობელოში 339,217 მკვიდრი სცხოვრობს. თუ მკვიდრთა რიცხვით თფილის შევადარებთ, ვეიმარში ცოტა მეტი გამოვა. ამ პატარა ქვეყანაში ხალხის გასანათლებლად, არსებობს სხვა და სხვა გვარის სასწავლებელი. დღეს ამ პაწაწა სახელმწიფოში ათას ას თერთმეტრ სასწავლებელია; სახელობრ:

ნებაჲ რა უყვის ჩვე ფულს?

(წერილი რედაქციის მიმართ)

უმორჩილესად ვსთხოვ პატივცემულ „ისარ“-ის რედაქციას, დაუთმოს ადგილი ამ ჩემს წერილს.

1905 წელს ქალაქ ხარბინში, ერთ მიტინგზე, შეგროვდა ფული—2411 მ. დახარალებულ ქართველთა სასარგებლოდ; ეს ფული იმავე წელს გამოვგზავნა „მოგზაურის“ რედაქციას. ამას გარდა 1906 წ. წარმოდგენიდან შემოსავალი 145 მ. და 2553 მ. ხელის მოწერით შეგროვილი კერძო კაცის ხელით გამოვგზავნა. ხარბინიდან რომ წამოვედი, ამხანაგებმა დამავალეს, უსათუოდ გამეგო, თუ რა ბედი ეწია ჩვენ ფულს: მართლა მოხმარდათ დახარალებულთ, თუ კერძო კაცების კერძი გახდა. მე აქ, თფილისში, ბევრს ვეცადე, მაგრამ „მოგზაური“-ს რედაქციაში გამოგზავნილი ფულისა ვერა გავთვრა. რაც შეეხება კერძო კაცის წამოღებულ ფულს, შემდეგი ცნობა ამოვიკითხე გაზეთ „შრომა“-ში: ხელის მოწერით შეგროვილი 1278 მ. 75 კ. და წარმოდგენიდან შემოსული 645 მ მთლიან პატივცემულ ნ. ნაკაშიძეს; დანარჩენ ფულს რა ბედი ეწია არ ვიცი. თუმცა არაფის უფლება არა ჰქონდა, დამშეულების გაკვირვებით ესარგებლან.

თხოვ „მოგზაური“-ს თანამშრომლებს გაზეთის საშვალეებით გამოაცხადონ, რა უყვეს და ვის გადასცეს დახარალებულთათვის დანიშნული ფული, („ისარია“)

- 1. მაღალი სასწავლებელი;
- ქალაქ იენაში უნივერსიტეტი,
- იმავე ქალაქში სამეურნეო ინსტიტუტი,
- ქალაქ ეიზენახში სატყეო ინსტიტუტი,
- ქალაქ გეინჰარში აკადემია მხატვრობისა;

- 2. საშუალო სასწავლებლები:
- ხუთი კლასიკური გიმნაზია,
- სამი რეალური გიმნაზია, სადაც ასწავლიან ლათინურ ენასაც,

- შვიდი რეალური სასწავლებელი,
- 13 ქალების სასწავლებლები,
- 2 ვაჟთა სამასწავლებლო სემინარია.
- 1 ქალთა სამასწავლებლო სემინარია.

- 3. დაბალი სასწავლებლები:
- 1036 პირველ დასაწყისი სახალხო სკოლა,
- ბრმების, მუნჯების და ყრუების ერთი სასწავლებელი,

რად გვიწოდეს პროპოკატორები?

როცა ვისმე ლანძღვაგინების საღერდელი ავშლება, თუნდაც საკმაო საბუთი არ მოვპოვებოდეს, გუდას პირს მოხსნის და, ვინც უნდა იყოს მოწინააღმდეგე, არ დაერიდება ყველაფერს უძღვნის. ჩვენებური სოციალ-დემოკრატებიც ასე სმასწადიან, ალბად იმიტომ, რომ ხალხში ნდობა არ დაეკარგოთ და ყველამ მათ სალოცავს გუნდრუკი უკმისო. იგინი არავითარ ცილის-წამებას და ლანძღვა-გინებას არ დაერიდებიან, ოლონდ ხალხის თვალში სახელი გაუტეხონ მოწინააღმდეგეს, თუ გინდ ეს მოწინააღმდეგე ცაძმე მართალი იყოს. საკმაო საბუთიც რომ არა ჰქონდეთ ხელთ, თავიანთ საყვარელ სიტყვას „ჯაშუშ-პროვოკატორს“

- ობლების შესანახავი სახლი,
- სკოლა ზნეობით დაცემულ ქრმათათვის,
- სკოლა მხატვრობისა,
- სკოლა მუსიკისა.

გარდა აქ მოხსენებულ სასწავლებელთა არის კიდევ საუფნიკო, სამრეწველო, საკომერციო, მურნეობის და სხვა, რიცხვით—35.

ჩვენს კავკასიაში, რომელიც სივრცით 414,000 ოთხ-კუთხი ვერსია და რვა მილიონი მკვიდრი სცხოვრობს, დღევანდლობის უმადლესი სასწავლებელი არ არის. („ისარია“)





მინც არ დაივიწყებენ და თუთაყუშვით წარამარა წამოისერიან ხოლმე. ვისი ფიზიონომიაც არ მოეწონებათ, მშვიდობით ცოლო და შვილო. „ლახვარის“ პირით ვიწოდებენ ამ მშფენიერ სახელს. რას იზამთ, ასე ექვთ თავი გაქვლენილი ჩვენებურ, ვითომდა ხალხის მოყვარულ მეცნიერ-სოციალისტებს“ — „ლახვარის“ ჰუმლიოსტებს. მთ უკვე გამოუშვებს ცირკულიარი: ამახანგებო და მოქალაქენო! „ისრისტები“ ჯაშუშ-პროვოკატორები ყოფილან, ფრთხილად იყავით, ყური ეკვიტათ ვეჭირო, თო. ეს იმიტომ ბრძანეს, რომ ერიდონ „ისრისტებს“, არავინ დაუჯეროს იმათ სიტყვას. ბიუროკრატიული მთავრობაც ხომ ასე სჩადის; როცა უნდა რომელსამე პარტიას სახელი გაუტეხოს, იგი მშინვე ცირკულიარს ცირკულიარზე ჰგზავნის: არიქა, ამა და ამ პარტიამ ან კაცმა თქვენი (გამგებები ვაიგებს—ვისიც) სახელი ან ფეკაკობა შეურაცხყოვო. რათა იხინი ამის გაგონებაზე ყალყზე დაიღვნენ. მაგრამ როდემდის?

ასეთნაირი თილისმებით და ჯაღობით ღლასობენ ჩვენებური სოციალ-დემოკრატებიც. სულ იმას ვასწავიან: მარტო ჩვენ, ჩვენ შეგვიძლიან ხალხის წყულუღებ მალამოს დაღება, და თუ ვისმეს თანხისავის სიკეთე უნდა, ჩვენ მოგვმართოსო. საწყალი „ლახვარისტები“! მათ ხალხი უსუსური ბავში ჰგონიათ, ვერ გაუგიათ, რომ ხალხი უკვე გამოფხიზლდა, მას ბრძანებელი აღარ ეჭირვება; სულ ერთია ბიუროკრატია იქნება ეს, თუ სოციალ-დემოკრატია. ვინც არ მიხვდარა, ის მალე მიჰხვდება; მართალია, სამეგრელოშიდ აბრეშუმი აღარ მოჰყავთ. რადგან სიმინდს გაფუჭებს, კახეთში ვენახებს აღარ წაილავენ, ქიზივშიაც თავი მიანებებს მინდვრის თავს და გულ-ხელ დაკრებილი იუტლიან პრეზიდენტს, რომელიც ყველა ამას გააკეთებს, მაგრამ, იცოდეთ, არ გავა დიდი დრო. რომ ხალხი ამის ანგარიშსაც მოგთხოვს.

თქვენ რომ ბრძანეთ „ისრისტები“ ჯაშუშ-პროვოკატორები არიანო, ეს სიტყვა წამოგვეგორეთ იმიტომ, რომ ხალხს დაივიწყებოდა თქვენ მიერ ჩადენილი საქმეანი საგმირონი და ჩვენ ვითომ და ჯაშუშ-პროვოკატორობაზე გართულარი. დიად, თქვენ ამის იმედი ვაქვთ, მაგრამ ვერ მოგართვით! რაც თხამ თრიმლს უყუ, ის თრიმლმა თხის ტყავს შეუსრულოა, ხომ იცით?!

„ლახვარმა“ ქვეყანას ამცნო, „ისრისტები“ ჯაშუშ-პროვოკატორები არიანო. რატომ არიან ჯაშუშ-პროვოკატორები? იმიტომ რომ ვასილ კირვალისის წერილს ადგილი დაუთმო და ქვეყანას ამცნო, რომ 1905 წელში ქალაქ ხარბინში დამშეულ ქართველთათვის შეგროვილმა ფულმა თავის დანიშნულებას ვერ მიადწია? როგორც წერილშია ნათქვამი, კირვალისე ბევრსა ცდილა, ვაგეო, ცემა ჩაყლაპა თუ დღეამიწამ ის ფული, მაგრამ ვერა მოუხერხებია რა. შეკითხვა „მოგზაურისადმი“ „ლახვარისტებს“ ლახვარივით მოჰხვდათ გულში. შეტანენ და შემოტრიალდნენ, როგორ გაბედეთ და გახეთში დაბეჭდეთო. ცხენს ვერაფერი დააკლეს და უნაგირს წაუშინესო, სწორეთ იმათი საქმეა. არა, თქვე დალოცვილებო, კაცი რომ გუმანს არ იყოს, ექვში შეიყვანნო. სხვა რედაქციას ანგარიშსა სთხოვენ და თქვენ კი ყუი ი მოგეწვით. განა თქვენ თავს იმიტომ უწოდებთ „სოციალისტებს“, რომ სიმართლენ ჩაჩქმალეთ და სიცრუენ კი სიმართლედ ვასალოთ?

მითხველებსათვის მიგვინდვია და იმათ განსაჯარნ: მოვალეა თუ არა გახეთი, რომ რომელსამე კაცს დაუბეჭდოს სიმართლის აღსადგენად-გამოსარკვევად წერილი, რა რწმენისაც უნდა იყოს წერილის ავტორი (მარქსისტები წერილს მარტო იმას დაუბეჭდავენ, ვისაც შუბლზე თავიანთი ბექელი ექმნება დასმული)? ვგონებთ, რომ ვისაც ხალხისთვის გული შესტკივა, ვისაც ხალხის მწუხარება თავის მწუხარებად მიანჩია, იგი ყოველთვის იმისი მომხრე იქნება, რომ სინათლენე გამოიფინოს, თუ რა უყვეს, რა გზა აჩვენეს ან და ვის ჯიბეში განისვენება ცხრა მთას იქით კაპეიკობთ შეგროვილმა ფულმა, რომელიც დამწვარ-გატიტულებულ ხალხს უნდა დაროგებოდა? დიად, ამისთანები რომ მრავლად ყოფილიყვენ ჩვენში, მაშინ დღემდე აღიგებოდნენ ქვეყნის პირიდგან ის მყვირალა და ხალვის პროცენტებით გასუჭებული: ხალხისთვის არაფრის მაქნისინი, რომელნიც თავიანთ თავს რომის უტოლდელ პაად აღიარებენ და არაკობთარ საქციელს და თვით ჯაშუშ-პროვოკატორობასაც კი არ ერიდებიან, ოლონდ თავიანთი გაიყუნონ, რომ არავინ არასფერი გაუგოს.

დადგება დრო, როდესაც ანგარიშს მოსთხოვენ ყველა ამათ, ვითომდა ხალხის წინამძღოლებს! დღეს-კი დეო, გვიწოდონ ჩვენ სიმართლისთვის „ჯაშუშ-პროვოკატორები!“ („ისარი“).



* *

პოლონელთა „კოლო“-ს კანონ-პროექტმა ავტონომიის შესახებ ბევრი მითქმა მოთქმა გამოიწვია პეტერბურგის პოლიტიკურს წრეებში. სხვათა შორის ამბობდნენ რომ კადეტები უკმაყოფილონი არიან და მხარს არ დაუჭერენ ავტონომიის პროექტსაო. „რეკ“-მაც გადაჰკრა პოლონელ დეპუტატებს და უკანასკნელნი გაჯავრდნენ: გადასწყვიტეს კიდევ, კადეტებს გადაუღებოთო. ამ გარემოებამ პოლონეთის საზოგადოებასა და პრესაშიაც დიდი ლაპარაკი გამოიწვია. ყველას მოსწყურებია, ნამდვილი აზრი გავიგოთ კადეტების დამოკიდებულების შესახებ. გაზეთ „ლულსკოსჩი“-ს რედაქციას ამის გაგება მიუძღვია პეტერბურგში მცხოვრებ ერთ გავლენიან პოლონელისათვის და ეს უკანასკნელი ახლა შემდეგსა სწერს ამაზე:

„კადეტებს, როგორც ნამდვილად გავიგე, სრულიადაც არ შეუცვლიათ თავიანთი პოზიცია პოლონეთის ავტონომიის საკითხში. კადეტები თავიდანვე ამბობდნენ და ახლაც იმეორებენ, რომ პოლონეთის ავტონომია განხორციელებული იქნება იმ წამსვე, რა წამსაც რუსეთში დამკარგდება დემოკრატიული რეჟიმი. ამ მხრით ყველაფერი უცვლელად რჩება. კადეტებს არავითარი ვალდებულება არ უქონინათ პოლონეთის შესახებ: ისინი საკუთარ პროგრამას ასრულებდნენ და ამის მიხედვით აუცილებელ საჭიროებად სთვლიან პოლონების ავტონომიას. საკითხი მხოლოდ ტაქტიკას შეეხება: როდის და როგორ იქმნას ეს საკითხი დაყენებული რუსეთის პარლამენტში. კადეტების ლოზუნგია: რაც შეიძლება ფორთო ავტონომია პოლონეთს, მაგრამ ეს მოხერხდება მხოლოდ მაშინ, როცა რუსეთი სრულ პარლამენტალურ სახელმწიფოდ გადაიქცევა. რაც შეეხება ახლანდელ უკმაყოფილებას კადეტებისას, ეს იმით აიხსნება, რომ პოლონელთა „კოლო“-მ არაფერი არ აცნობა კადეტებს, რომ კანონ-პროექტი შეაქვს; ფრაქციამ მხოლოდ ორის დღის წინ შეიტყო „კოლო“-ს გადაწყვეტილება და ვერც-კი მოეზნადა თავის აზრის გამოხატვლად“.

დასასრულ ავტორი აცხადებს, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ კადეტები მხარს დაუჭერენ „კოლო“-ს კანონ-პროექტს მანამდისაც კი, სანამ რუსეთში სრული დემოკრატიული რეჟიმი განხორ-

ციელდება“-ო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს იმედი არ გაუმართლებიათ პოლონელებს, კადეტები ერთობ ფრთხილ ტაქტიკას ადგიან და საეჭვოა, რომ დღევანდელს პირობებში ისეთ მძიმე საკითხში შეებრძოლოს მთავრობას, როგორიც არის ავტონომიის საკითხი; მით უმეტეს, რომ დარწმუნებული არიან, რომ სულ ერთია პროექტს სახელმწიფო საბჭო არ მისცემს მსვლელობას.

ახალი ამბები და შენიშვნები.

* * * გენერალ ტაუბეს, როგორც „ნ. გ.“ ვაღმოგვცემს, სტოლინისთვის გაუზღავნია ვრცელი მოხსენება დეპეშით საზოგადოდ კავკასიის საქმეების შესახებ, რომელშიაც იგი ამტყუნებს კავკასიის ნამესტნიკს და ამტკიცებს, რომ კავკასიის ადგილობრივი ადმინისტრაცია სრულიად მოუზამდებელია და რომ ნამესტნიკს არავითარი ზომა არ მიუღია ბაქოს გაფიცვის წინააღმდეგ. ამ დეპეშას რიღა შთაბეჭდილება მოუტანდნია სამინისტროში, ადღან ორიოდე კვირის წინად ამავე სამინისტროს ნამესტნიკისაგან ვრცელი მოხსენება მიუღია, რომლითაც ნამესტნიკი ატყობინებდა, რომ კავკასია დამშვიდდა და დაწყნარდაო. გენ. ტაუბე კი, პირიქით, ამტკიცებს, რომ კავკასია არ მშვიდდება და ადგილობრივ მთავრობას არაფერი გაუკეთებია იმის დასამშვიდებლადო. გარდა ამისა, ტაუბე იწერება, ამიერ-კავკასიაში დიდი შიმშილია და მოსაველსაც ძალიან ცუდი პირი უქანს, რადგან მთავრობას ხალხისთვის თესლი არ მიუწოდებიაო. ამიერ-კავკასიაში, იმავე ტაუბეს სიტყვით, შიმშილი უფრო ძლიერია, ვიდრე შიდა რუსეთში, მაგრამ მთავრობა იქ ეხმარება დამშეულებს, კავკასიაში კი არაფერს აკეთებო.

* * * 28 აპრილს ტფ. დეპუტატთა საყრბულოს დარბაზში, ბნ ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით, მოხდა კრება ქართველ ინტელიგენტთა ერთის ჯგუფისა, რომელსაც აზრად აქვს დაარსოს ქართული საზოგადოება ისტორიისა და ეტნოგრაფიისა. წიკითხეს პროექტი წესდებისა. უმთავრესი დანიშნულება საზოგადოებისა იქნება საისტორიო, საარქეოლოგია და საეტნოგრაფიო მასალის შეკრება, შესწავლა და გამოცემა. საზოგადოება შეეცდება ნაცი-

ინალურ მუხუწების დაარსებას, სპეციალურ ჟურნალის გამოცემას, ისტორიულ და სხვას. წვერობა შეუძლიან ყველას, ვინც საწვერო ფულის 3 მან. ყოველ წლიურად გადაიხდის. პროექტის განხილვის დამფუძნებელი კრების არსებითად არ შესდგომია. კამათი გამოიწვია ბ-ნ ი. გოგებაშვილის მიერ აღძრულმა საკითხმა. მან განაცხადა, რომ უმჯობესი იქნება საისტორიო და საიტნოგრაფიო საქმე წ. კ. გამავერცელებელ საზოგადოებასთან* მოეწყოს, რისთვის დაარსდება ცალკე სექცია. ეს მით უფრო სასურველია, რომ აღნიშნულმა საზოგადოებამ ბევრი ხელთ-ნაწერი და საისტორიო მასალა შეკრიბაო. წინააღმდეგნი იყვნენ ბ-ნი მ. მაჩაბელი, ალ. სარაჯიშვილი; ილ. ფერაძე, გორგაძე, მუსხელიშვილი და სხვანი. ინიციატიორი საისტორიო საზოგადოების დაარსებისა ბ-ნ თაყაიშვილიც ამტკიცებდა საზოგადოების ცალკე დაარსების საქიროებას. კარგა ხნის კამათის შემდეგ კრებულ დაადგინა, ითხოვოს წესდების დამტკიცება და საზოგადოება დაარსოს, ხოლო იმის შესახებ მოლაპარაკება, თუ როგორი განწყობილება ექნება მას წ. კ. გ. საზოგადოებასთან, შემდეგ გამოითოს.

* * პოლიციის დეპარტამენტმა მიმართა თავის სახლვარ-გარეთელ აგენტებს განკარგულებით, თვალ-ყური ადევნონ ყველა იმთა, რომელნიც გერმანიაში რუსეთის სესხის წინააღმდეგ მოქმედებენ.

* * ხელმწიფე იმპერატორმა "ნამდვილ რუსთა კავშირის" შუამდგომლობით სასჯელი აპატიაკავშირის ექვს წევრს, რომელთაც 8 თვით სატუსალიო ჰქონდათ გადაწყვეტილი ნიჟინ-ნოვგოროდში სოციალდემოკრატებსა და ინტელიგენტებზე თავდასხმისთვის.

* * გაზ. „ტოვ“-ში მოთავსებულია საინტერესო ცნობები იმის შესახებ, თუ რა გულის აღძრვეი სასტიკი წესებია რუსეთის ქალთა ინსტიტუტებში, რის შემდეგი იყო ამას წინაღ პეტერბურგის სმოლნი ინსტიტუტში მოწაფე ნადია კანდაურაოვის მიერ თავის მოკვლა. მოწაფე ქალი სწერს გაზეთის რედაქციას თავის თავგადსაჯალს, აწერილი აქვს ის გულის მომწყვლელი „ჩინოვნიკური“ წესწყობილება, რომელიც ქალთა ინსტიტუტებში სუფევს. უფროსები იქ გარეგნულ სისუფთავე-სილხაოებს იცივენ და ყოველ ფეხის გადადგამაზე სტანჯავენ ამის გამო მოწაფე ქალებს. მაგალითად მხო-

ლოდ იმისთვის, რომ მოწაფე ქალმა სადილის დროს თავის ამხანაგს ხელსაწმენდი გადაუდგო, საბრალო ქალი სასტიკად დასაჯეს: სტოლუმს შუა ფეხზე გააჩერეს, რომ ყველას ეტკირნა მისთვის, უსადილოდ დასტოვეს და იმის რცემლებს არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. ამისთანა შემთხვევებით სასევა ინსტიტუტის შინაური ცხოვრება, სწერს გამოცდილებით ამ ცხოვრების კარგად მცოდნე მოწაფე ქალი. („ისარი“)

* * მსოკივის უნივერსიტეტის რექტორმა საერო-განათლების მინისტრს დეპეშა გაუგზავნა, რომ გადასცეს ხელმწიფე იმპერატორს უნივერსიტეტის საბჭოს უქვეშევრდომილესი სიხარული მოსალოდნელ განსაცდელისაგან გადარჩენისა გამო. დეპეშაზე ხელი უწერია რექტორს მანუილოვს.

* * 11 მაისს, წყნეთის ქუჩაზე, ნინო მაჩაბლის სახლი გაჩხრიკეს და თინონ ნინო მაჩაბელი დაატუსაღეს. დატუსაღებულის ბებიას დაუნახავს თუ არა პოლიციელები, ისე შეშინებია, რომ იქვე გული შესწუხებია, და გარდაცვლილა. ამავე დღეს გაჩხრიკეს ვერაზე გორის მზარის უფროსის ბინა და დააპატიმრეს ორი იმისი და.

* * სინოდალურ კანტორის პროკურორმა 12 მაისს კანტორის მოხელეებს უბრძანა, დაუყოვნებფორმის მუნდირები ჩაიცვიეთო. („ისარი“)

* * სინილისის თავისუფლების სათათბიროს კომისიის უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ აღმინისტრაციას უფლება მიეცეს სისხლის სამართლით სარჩევარა აღძრას სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მოქმედების წინააღმდეგ. სასამართლოს უფლება უნდა ჰქონდეს ამ საქმეების შესახებ საბოლოო განაჩენი დასდოს.

* * 23 მაისს სინოდმა განიხილა სათათბიროს წვერების მღვდლების გმინვეიის, ბრილიანტოვის, არხიოვის, კოლოკოლიკოვის და ტიხვინსკის საქმე და დაადგინა, მიეწეროს ენისეის, ორენბურგის, პერმის და ვიატკის ეპისკოპოსებს ზემო-ხსენებულ მღვდლების მღვდლის ხარისხთან და ერთგულ ქვეშევრდომობასთან შეუფერებელ საქციელის შესახებ და მსცენ მღვდლები პასუხის გებაში თანახმად საღმართო წყრილის და საეკლესიო კანონებისა, ხოლო ოთხს მათგანს ახლავე აეკრძალოს მღვდელმოქმედება. მღ. გრინვეიის შესახებ, რომელმაც მიტროპოლიტ ანტონის შეატყობინა, შრომის

ჯგუფიდან გამოვედით და 7 მაისსაც სათათბიროს სხდომას დაესწრო, სინოდმა დაადგინა— იგი პასუხის გებისაგან განთავისუფლებულ იქნას.

26 მაისს სათათბიროში გათავებენ აგრარულ საკითხის შესახებ კამათს და ვარჩევენ კანონ-პროექტებს სიკვდილით დასჯის მოსპობის და ამნისტიის შესახებ.

* * * 24 მაისს, ვერაზედ, საუფლისწულო სარდაფის მახლობლად, მოჰკლეს ტფ. სასულიერო სემინარიის ინსპექტორი მიხეილ დობრონრაოვი, რომელიც რექტორის წასვლის შემდეგ დროებით იმის თანამდებობას ასრულებდა. დილის 11¹/₂ სა. მოხუცდ. გ. დობრონრაოვი სემენარიის ეკონომის მღ. ჯაოშვილთან ერთად ვაკეში წასულა სემენარიის ახალ შენობის დასათვლიერებლად. როდესაც ვასცილებიან წყნეთის ქუჩას, საუფლისწულო სარდაფის მახლობლად, მხითარაიანცის სახლის პირდაპირ ეტლის უკანდამ მოჰპარვია ვიღაც კაცი და სამჯერ თუ ოთხჯერ უსროლია რევოლვერი. ეტლი შეუჩერებიათ. მღ. ჯაოშვილს მაშინ შეუნიშნავს, რომ დობრონრაოვი დაქრილი იყო. ჯაოშვილი გადმოხტარა ეტლიდან, დაუძახნია პოლიციელისათვის, მაგრამ იქ არავინ აღმოჩენილა, იქვე გარდაცვლილა. მოსულან პოლიციელები და გვაში მიხეილის საავადმყოფოში გაუტყვენიათ. მკვლელი მიძალუთა. პოლიციელები და პატრულები შეუდგნენ ახლო-მახლო მცხოვრებთა და გამეფელთა ჩხრეკას. (ისარი).

* * * კ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ჰიათურის შავი-ქვის მრეწველთა წლივანდელს კრების წინაშე, გამგეობა სთხოვს, დახმარება აღმოუჩინოს საზოგადოებას, ან ერთ-დროულად ფულის გადაღებით ან ყოველ წლიურად სუბსიდიის დანიშნაობით.

* * * ქუთაისის კერძო გიმნაზიის მასწავლებელს ნიჟარაძეს შეუდგენია რუსულ-ქართულ სვანური ლექსიკონი. ლექსიკონის გამოცემას შეუდგა „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება“.

დეპუტატი შვედკელი. როგორც უკვე იცინ ჩვენმა მკითხველებმა უმაღლესი სასულიერო მთავრობა სდენის სათათბიროს იმ დეპუტატ მღვდლებს, რომლებიც მემარცხენე პარტიებს ეკუთვნიან. ამჟამად პეტერბურგიდან დეპუტატი აცნობენ „რუსსკ. ვედ.“-ს მთავრობის მიერ ოფიციალურად გამოცხადებულ

ამ საქმის შემდეგ ვითარებას: 23 მაისს სინოდს სხდომა ჰქონდა, რომელმაც განიხილა საქმე შემდეგ დეპუტატ მღვდლებისა: გრინევიჩის, ბრილიანტოვის არხიპოვის, კოლოკოლინიკოვისა და ტიხვინსკის. ყველა ამათ სინოდის განკარგულებით მიტროპოლიტი ანტონი შეეკითხა იმის შესახებ, თუ რად არ დასწრებიან ისინი სათათბიროს 7 მაისის კრებას, რომელსაც უნდა გაეციცხა შეთქმულობა სელმწიფის წინააღმდეგ. მიტროპოლიტმა გადასცა სინოდს ხსენებულ მღვდლების შესახებ შემდეგი ცნობები: მღვდელი გრინევიჩი აცხადებს, რომ მან 16 აპრილს დასაჯო მემარცხენე პარტია, შრომითა ჯგუფი, 7 მაისს სათათბიროს სხდომას დაესწრო და ამიტომ ყოველნაირ სასჯელისაგან განთავისუფლებულ უნდა იქნას. მღვდელი ბრილიანტოვი მიტროპოლიტთან არ გამოცხადებულა, არავითარი განმარტება არ წარმოუდგენია თუ რად არ დაესწრო 7 მაისის სათათბიროს სხდომას, არ უარუყვია ს. რევოლიუციონურ პარტიაში თავისი წევრობა; ყველა ჩამოთვლილ მიზეზთა გამო, როგორც უდიდეს რად მოღვაწე და უმაღლესი მთავრობის უჩინ მღვდელი იგი უნდა ვასამართლებულ იქნას ადგილობრივ საეპარქიაო მთავრობის მიერ.

* * * დეპუტატების გახსრეკა, პეტერბურგიდან დეპუტატი აცნობენ „რუს. სლ.“-ს, რომ 22 მაისს დაბრუნდნენ ლონდონიდან პეტერბურგს ს. დემოკრატიკის წევრები—ჯაოარიძე, ჯუღელი და კანდელაკი. როცა პეტერბურგში ფინლიანდიის რკინის გზის სადგურზე ვაგონიდან გადმოსულან, დეპუტატები ქანდარშთა ვანყოფილებაში წაუყვანათ, სადაც სამი საათის განმავლობაში უჩხრეკით და არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ იმათ პროტესტისათვის. ამ საქმის შესახებ სათათბიროში შეკითხვის შეტანას აპირებენ. ჩხრეკის დროს ქანდარშთს არაფერი არ აღმოუჩენიათ.

* * * სათათბიროს განკარგულებელმა კომისიამ განიხილა პრესიდიუმის ჯამაგირების საქმე და დაადგინა: თავმჯდომარეს მიეცეს ან სახელმწიფო ბინა ან 12,000 მანეთი ბინისთვის, დაენიშნოს ჯამაგირად და წარმომადგენლობისთვის 18,000 მ. პრესიდიუმის დანარჩენ წევრს დაენიშნოთ მხოლოდ ჯამაგირი: თავმჯდომარის ამხანაგებს 3,600 მანეთი თითოს, ამიჯანს 4,800 მანეთი. მიღვისს უფროსს



თან რომელიმე 00 მანეთი, დანარჩენ თანაშემწეთი 120 კელინ კე თითოს. გამგე კომიტეტის წევრებს 240 სტა. ასრთოს.

საქართველოს ოსხანის და სტავროპოლის გუბერნიებში კალაშნიკოვსკის გუბერნიის სათათბიროში აირსიეს სერაპე-ჯალა მატკიკოვინი, ტიუმენი, მემამულე, ბუდ-ლისტი, მებარჯვენი.

* * * 5 მაისს პეტერბურგში ებისკოპოსად აკურ-თებეს ტბილისის სემინარიის რექტორი არქიმანდ-რიტი გიგორი.

* * * ამას წინად დახურული მონარხისტების კრებაზე მოსკოვში დამსწრეთაგან შემდეგი დადგე-ნილებანი იქმნენ მიღებული: სათათბიროს დაშლა; საგენერალ-გუბერნატორობის შემოღება, რევო-ლიუციით შეპყრობილ ადგილებში სამხედრო წე-სების გამოცხადება; ებრაელთა თავის დამცველ რაზმელებისათვის იარაღის აყრა; რუსთა კავშირის რაზმები; რევოლიუციონერებისაგან მათი ქონების ჩამორთმევა და ხაზინის საკუთრებად გადაცემა; პრესის აღფაგვა, რედაქტორებისთვის ზნეობისა და განათლების ცენზის დაწესება; ებრაელებისათვის სამოქალაქო და სამხედრო სამსახურის აკრძალვა; გლეხებისათვის მათი ადგილმამულის დამტკიცება; მთავრობა თემიდან გასვლის უფლების მინიჭება; თავ-და-ზანაურთა და გლეხთათვის საერთო ბანკის და-არსება; უმადლეს სასწავლებლის ავტონომიის გა-უქმება; განაპირა ქვეყნების ავტონომიის უარყოფა; უცხო ტომთა გარუსების და შეერთების პოლიტი-კის გაძლიერება; მთავრობის წრეებში ნაციონა-ლურს იდეალის მქონე პირების მოწვევა; მართლ-მადიდებლობის განმტკიცება და მართლმადიდებელ მძობთა დაარსება, განაპირა ქვეყნების რუსეთთან მტკიცე შეერთებისათვის მოღვაწე საზოგადოებათა დაარსება და სხ. დასასრულ მონარხისტების კრებამ დაპეშა გაუგზავნა ხელშეწიე იმპერატორს, სადაც გამოსთქვა თავისი უქვეშევრდომილესი გრძობები.

* * * 16 მაისს, დილის თერთმეტ საათზე, თფი-ლისში ძლიერ იძრა მიწა. მიწა იძრა ორჯელ და ისე ძლიერ, რომ ბევრგან სახლებმა საშინლად ზანზარი დაიწყო. ხალხი ბევრგან გარედ გავარდა. მრავალ-სართულიან სახლებში ბევრგან კედლები დასკდა. მიწის ძვრამ ორ-სამ წუთს გასტანა.



სწავლა და მეცადინეობა ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე.

დალადაბა ჯვარცმული ავაზაძისა.

მომისხნე მე, უფალო, ოდეს მხოველე სუფევითა შენითა!

„მომისხნე... მე... უფალო...“ საიდგან და-ებადა ავაზაქსა ესოდენ მაღალი გრძობა? რამ აღ-ძრა მის დაცემულ ბუნებაში ესოდენ შესაბარლისი ხმა, რომელმანც გამოიწვია მსმენელი უფლისი მხ-რივ შებრალება და დიდი წყალობა?—ეს ხმა არის ნაყოფი ავაზაქისთვის ცნობის,თვის-მსილესისა დათვის-გაძართვის, სხვაგადად, ეს გრძობა არაა ნაყოფი მას უმადლესი თვითშეგნებისა. ამ თვით-შეგნებით ავაზაქმა ნამდვილად იცნა თვისი „მე“, თვისი ვინაობა. იცნა მან, როგორ საუნებელია ადამიანისთვის სიკვრივით გონების დაბნელება და სვინილისის დახშვა. მოიგონა მან თვისი წარსული ბნელი ცხოვრება, რომლითაც დასწიხლა ღირსება ადამიანის ბუნებისა, მოიგონა, როგორ დაივიწყა ღმერთი, უფალი ცხოვრებისა. ამსთან მას წინ წარმოუდგა ბნელი და საზარელი სურათი იმ მო-მავალი საუკუნო ტანჯვისა, რომელიც მას აუცი-ლებლად მოელოდა, უკეთუ იგი განაგრძობდა თვის შეუბოვრობასა და ღმერთიც დაივიწყებდა მას, როგორც უვარგის ქმნილებასა,—დაივიწყებდა არ მომისხნებდა მათ შორის, რომელნიც ღირსეუ-ლი ცხოვრებით იმკიდრებენ ღვთის სსუფეველსა, საუკუნო ხსენებასა მართალთა თანა. ამისთანა კე-თილ-პაზრობამ ავაზაქს გონება გაუნათლა, სვინი-ლისი გაუღვია იქამომდე, რომ მანკეთილად ისარ-გებლა სიკოცხლის რამთონიმე დანარჩენი წუთითა, კეთილ-გონიერად იცნა მისთანვე ჯვარცმულ ქრის-ტეში ღმერთი—მაცხოვარი, ირწმუნა იგი გონებით,



გულით, ნებით და შეჰღალადა მას:“ მომხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა!“

ეს ღღაღდება შეადგენს შრთელს ღეთის-მეტყუელებასა, — იმ ქეშმარიტების სწავლასა, რომ ადამიანის უმაღლეს თვით-შეგნებას ბუნბრიც, აუცილებლად, მოჰყავს იგი ქრისტე მაცხოვრისადმი. საბარლო ადამიანო, სიცოცხლის და არა სიკვდილისთვის, ნეტარებისთვის და არა ტანჯვისთვის გაიწიელო! შეითვისე ეს ქეშმარიტება, რომელიც ესოდენ ეშვსაბამება შენს მაღალ ბუნებასა, და თვით შენ გარეწარვიდე მით სამარტსინო საკვდილო, რთგორც სსუფასა, ასე სუფას, რთგორც დრთბებით, ისე სასუქნო...

საღმრთო წერელი საქმარის მავალითებს გვიდგენს, ჩვენდა სამოდგორდ, ადამიანის შეგნებისა და შეუგნებლობისასა, მით გვასწავლის იმ ქეშმარიტებას როგორ ამაღლებს და აბუნდნიერებს ადამიანსა შეგნება და როგორ ამცირებს და აუბედურებს მას შეუგნებლობა.

ღიდი შეუგნებლობა გამოაცხადა იუდამ, როდესაც მან ოცდაათ ვერცხლზე გაჰყიდა თვისი მოძღვარ-მაცხოვარი, მხოლოდ სიტყვით წარმოსთქვა თვისი დანაშაულობა, გულით და საქმით კი არ შეინანა, საიო წარიკეთა და წარწყმდა. ოქრო... ვერცხლი... ამ საზიზღარ ლითონსა დამონაგებულ ჰყავს სრულიად კაცობრიობა! ამ კერპსა მხოლოდ იწვიათნი არ ემსახურებიან... რამდენი ადამიანის სული ირღუება რამდენი სისხლი და ცრემლი იღვრება, რამდენი მწაფე გოდება ისმის ამ კერპის საკურთხევის წინ!.. რამდენ გონებას აბნელებს, რამდენ გულს აქვავებს, რამდენ სეინიდისსა ხზავს, რამდენ ნებასა რყენის მისი მაცდური ელოგება!.. სად არის კაცთა შორის უმაღლესი თვით-შეგნება?!

ბეტრე მოციქულსა, თუმცა შეერყა ქეშმარიტების შეგნება იქამომდე, რომ მან სამჯერ უარჰყო თვის მოძღვარ-მაცხოვრის ცნობა, მაგრამ ეს შერყევა იყო წუთიერი, მალე მოვიდა იგი გრძნობაში და თვისი შერყევა დიტირა იქამომდე მწარედ, რომ შემდეგ იგი შეიქმნა ბურჯად სარწმუნოებისა.

მოციქული პავლე, სწავლული-ებრაელი, თუმცა პირველად იყო შეუგნებელი ქრისტეს ქეშმარიტებისა და მკაცრი მღვდარი მის მორწმუნეთა, მაგრამ შემდეგ იგი შეიქმნა ქურტლად ღვთის მადლისა და წინებულ მოციქულად წარმართთა.

ფრიად საყურადღებო და სამოცდრობა წინასწარმეტყუელი დანიელისა მკის სინსახებ, როგორ მოცული იყო ამპარტანესს¹⁹ სულითა ბაბილონის მეფე—კერბმსახური—ნაჟუქოდონოსორი და რა გზით შეიგნო მან არსებობა ქეშმარიტი ღვთისა.

სამოცდა ათი წელი ებრაელი იყენენ ბაბილონის ტყვეობაში. ამ დროს მეფე ნაბუქოდონოსორის სასახლეში სამსახურისთვის დაინიშნენ ოთხნი ყრმანი ებრაელი, წარჩინებული გვარისა, ლამაზნი და ნიჭიერნი: დანიელი, ანანია, მისაილი და აზარია. მეფის ბრძანებით, სამი წლის განმავლობაში, მათ შესაწავლეს ქალდეული წერა წიგნი და ენა. სწავლის დროს მათ სახელებიც გამოუცვალეს და ქალდეულათ დაარქვეს: მათ გამოაცხადეს ღიდი სარწმუნოება და კეთილ-ზნეობა როგორც სწავლის დროს, ისე შემდეგში. სწავლისვე დროს მათ უარჰყვეს მეფის სუფრიდგან საქმელსა, რომ არ დაერღვიათ სჯული ღვთისა, რომელიც უკრძალავდა ებრაელთა წარბართთ ზოგიერთი საქმლის შეხებას. იგინი იკვებოდნენ მძაბიო მცენარე საქმლითა, ღვინის მაგივრად სვამდნენ წყალსა. ამით მათ არამთუ არ ევნათ, არამედ უფრო ჯანმრთელნი შეიქმნენ. სწავლაში იგინი გამოცხადა თვით მეფემ, ღირსეულად დააფხა ოთხივე ყრბის მეცადინეობა, ზნეობა და მეცნიერება. თუმცა მეფეს სურდა დანიელის დანიშვნა მასრის უმფროსად, მაგრამ, მის თხოვნით, იგი დარჩა მეფის სასახლეში, ხოლო ანანია, მისაილი და აზარია, დანიელის რჩევითა, დაინიშნენ მასრების უფროსებად.

ესოდენ წარჩინებულნი ყრმანი, ძველი აღთქმის მნათობი, ქრისტიანეთა მოზარდ-ყრმათა თვის წარმოადგენენ მიბამვის ღირსეულ მავალითსა, მაგრამ.., მაგრამ, სად არის ყურადღება და შეგნება?!

მეფე ნაბუქოდონოსორმა ბაბილონის ერთ ველზე აღმართა ღიდი მაღალი ოქროს კერბი, რომლის წინაც ხურდებოდა ცეცხლის სახმილი. მეფის ბრძანებითა, კერპის გამოჩენის დროს შეიკრია სახელმწიფოს მრავალი ერი და ღიდა-კაცობა, მათშორის იყენენ აგრეთვე სედრახი, მისახი და ავდენალო. მეფის ბრძანებით ყველას უქველად თაყვანი უნდა ეცა კერპისთვის. ვინც ამ ბრძანებას დაარღვევდა, მას მოელოდა სასჯელი — ცეცხლის სახიელი ჩავდება. ხსენებულთა ყრმათა — ებრაელ-

თა, რომელნიც იყვნენ მორწმუნენი და თაყვანის მცემელნი ქეშმარიტი ღვთისა, არ ასრულეს შეფის ბრძანება. ასეთი მათი საქციელი აცნობეს მეფესა, რომელიც იჯდა ტახტზე კერპის პირდაპირ. განარისხებულმა მეფემ მოუწოდა მათ და უბრძანა: „დადეთ პირქვე და თაყვანი ვცით კერპსა, წინა აღმდგე შემთხვევაში თქვენ ჩაყრილნი იქნებოთ ცეცხლის სახშილში, მაშინ გამოჩნდება, რომელი ღმერთი დაგიხსნით თქვენ ჩემი ხელიდან.“

სედრახმა, მისახმა და ავდენალომ უპასუხეს მეფესა: „ღმერთი, რომელსაც ჩვენ ვცემსახურებით, ძლიერია, რომ დაგვიხსნას ჩვენ სახშილდგან და შენი ხელისგან. თუნდაც რომ არ ინებოს მან ჩვენი დახსნა, მაშინაც ჩვენ არ ვცემსახურებთ შენს ღმერთსა და შენს კერპსა, რომელიც შენ აღმაართე, თაყვანს არა ვცემთ.“

მშვენიერ ყრმათა ასეთმა გაბედულებამა ფრიად განარისხა მეფე, და იგინი, მის ბრძანებით, შეკრულნი და ტანთმოსილნი, ჩაყრილნი შეიქმნენ ცეცხლის სახშილში, რომელიც, მეფისავე ბრძანებით, შეიღებოდა მეტად იყო გახურებული. მეფე, რომელიც იჯდა ტახტზე სახშილის პირდაპირ, უცქერდა წამოღდა და თქვა: „ამე ვხედავ, რომ, საიხს მავიერად, ოთხნი სრულიად თავისუფლად და სუნებლად დადან ცეცხლში, მეოთხე თითქო—რომ ძე ღვთისა არის.“ შემდეგ ამისა მეფე მიუახლოვდა სახშილსა და მოუწოდა: „სედრახ, მისახ და ავდენალო, ღვთისა მადლისა მიხანა, გამოდით აქ. იგინი გამოვიდნენ. ყველამ დაინახა, რომ ცეცხლმა სრულიად არ ავნა მათ, არც თმა შეგტუსად, არც ტანსაცმელი დაეწვათ,

მაშინ მეფემ სთქვა: „კურთხეველ არს ღმერთი სედრახისა, მისახისა და ავდენალოსი, რომელმანც გამოგზავნა თვისი ანგელოზი მხსნელად თვისთა მონათა, რომელნი სასოებდნენ მას ზედა და, წინა აღმდგე შეფის სიტყვისა, მისცეს ცხოვრება თვისი განსაცდელსა, რათა არა ემსახურონ და თაყვანი სცენ სხვა ღმერთსა, თვინიერ თვისსა!—აი ჩემი ბრძანება: უკეთე ვინმე, რომლისამე ერისაც უნდა იყვის; გაბედვეს ეგობის წარმოთქმას სედრახისა, მისახისა დი ავდენალოს ღმერთზე, იგი ნაჭრებად დაიკუწოს და სახლი მისი დაიხზოს, ამიტომ, რომ არ არის სხვა ღმერთი, რომელსაც—რომ შეეძლოს ისეთი ხსნა, როგორც მას შეუძლიან.“ ამის შემ-

დეგ ხსენებულ ყრმათა, ქეშმარიტი ღვთის აღმარებულთა, მიიღეს მეფისგან მეტი წარჩინება.

ნაბუქოდონოსორ მეფემ, თუმცა ასე აღვიარა არსებობა და ძლიერება ქეშმარიტი ღვთისა, მაგრამ იგი მან არ შეიწყნარა, როგორც ვამეც ყოველთა და ყოვლისა. მან არ დასტოვა ის ცრუ პაზრი, რომ იგი ვითომ პირად იყო ძლიერი, თვინიერ ღვთის განგებისა. ესეთ ამაყურ მდგომარეობაში მან ნახა საზარელი სიზმარი, რომელიც ვერაინ, გარდა დანიელისა, ვერ აუხსნა მას. მეფემ გარდასცა დანიელსა:

„ამე ვნახე, რომ ქვეყნის შუა დგას ბრგე, დიდად-მშვენიერი ხე. სიმაღლით იგი სწვდებოდა ცასა, ხოლო შტოვები ვაშლილი ჰქონდა მას ქვეყნის საზღვრამდინ. ფოთლფობ მისნი იყვნენ მშვენიერნი, ნაყოფნი მრავალნი. მის ქვეშ სახლობდენ მხეცნი ვეღისა; მის შტოვებზე ბუღობდნენ ფრინველნი ცისანი და მისგან იკვებებოდნენ ყოველნი ცხოველნი არსებანი. აი, ვხედავ, რომ ცილდგან ჩამოდის მზრუნველი და წმიდა და ხმა-მალლა ხმობს: „მოსკერით ეს ხე, შემოართვით მას შტოვები, დაბერტყეთ მისი ფოთლები, გავანტეთ მისნი ნაყოფნი; მხეცნი დაიფანტენ მის ქვეშილდგან, ფრინველნიც ვაფრინდენ მის შტოვებილდგან, მხოლოდ კუნძი ფესვებით დასტოვეთ მიწაში. იყოს იგი რკინისა და თითბრის ჯაჭვებში, ველის ბაღახზე, სოვლდენოდეს იგი ცის ნამითა და სძრვდეს იგი ველად მხეცებთან. გული კაცისა შეეცვალოს მას და მიეცეს გული მხეცისა, ეიდრემდის შესრულდებოდეს მასზედა შეიდი წელი. ასეთია განჩინება მზრუნველისა და წმიდისა: იტოდნენ ცხოველთა, რომ კაცთა სამეფოსა მჭლობს ყოველდუნებასი, იგი აძლევს მას, ვისთვისაც ისურვებს, მას შეუძლიან სრულიად მიტოვდეს კაცთა შორის დაადგინოს მათ ზედა.“

ეს სიზმარი დანიელმა აუხსნა მეფეს ასე: „ბრგე, დიდად მშვენიერი ხე, ბატონო, შენა ხარ, რომლისაც დიდებულებამ მიიღწია ცამდინ და უფლებმა გავრცელდა ქვეყნის ყოთხემდინ. ხოლო შენ რომ ნახე მზრუნველი და წმიდა, რომელიც გარდა მოვიდა ზეცით და წარმოითქვა ხესა მისსანე განჩინება, ეს არის სასჯელი უზუნაესისა, რომელიც უნდა აღსრულდეს ჩემს ბატონ მეფეზე. განგადედნენ შენ კაცთ-გან, ცხოვრებ მხეცთა თანა; რო-



გორც ხარი ისარდოვებ ბალახითა და დაღებები დამითა, ასე გაივლის შვიდი წელი, ვიდრემდის არ იგრძნობ, რომ კაცთა სამეფოს ჰფლობს უზენაესი და აძლევს მას, ვითვისაც ისურვებს. ხოლო რაც შეეხება კუნძის ფესვების დარჩენასა, ეს იმას ნიშნავს, რომ, ვიდრემდის, ეამსა გამოკდისასა, შენ არ შეიგნებ, რომ უფლება არის ზეით, სამეფო დარჩება შენზედა. ესლა, ბატონო, დაუმატა და ნიელმა, უკეთუ კეთილ ინებებ, რომ მიიღო ჩემი რჩევა, ეცადე, რომ გამოისყილო ცოდვანი შენნი მოწყობებითა და კეთილ მოქმედებითა, იქმნება ღმერთმა გვატივოს შენნი დანაშაულობანი.“

როგორც აღმოჩნდა შემდეგ, მეფე ნაბუქოდონოსორმა არ ისარგებლა დანიების კეთილი რჩევითა, არ შეინანა თვის ამპარტავანების ცოდვანი, დარა იგი შეუფრებელ. აი, რა არის ადამიანის სიკვრებე, მისი სულიერი სიბნელე!..

წლის თავზე, შემდეგ სიზმრისა, ნაბუქოდონოსორი სვირნობდა თვის სასახლის ბანზე, საიდვანაც სჩანდა მშვენიერება სატახტო ქალაქისა. მან, მოკულმა ამპაობისა და შეუფრებლობის სულითა, წარმოსთქვა: „არგორია ეს სიბილონი, რომელიც მე, ჩემი ძლიერებითა, შეეკმენ მცფეთა ღირსეულ საყოფელად და ჩემდა საღიდებელად“?!

ვიდრემდის გაათავებდა იგი ასეთ თავისქებასა, მოესმა მას ზეით ხმა: „შენ, მეფე ნაბუქოდონოსორა! მეფის უფლება გერთმევა. კაცთა საზოგადოებისგან, განგადებენ შენ; იტხოვრებ შენ ველურთა მხეთა შორის და ისარდოვებ ბალახითა, როგორც ხარ; შვიდი წელი გავილის, ვიდრემდის არ შეიგნებ, რომ უფალი კაცთა სამეფოსი არის უზენაესი და მას აქვს უფლება, მისცეს იგი მას, ვისთვისაც ისურვებს“.

ეს განჩინება მაშინვე ასრულდა ნაბუქოდონოსორზე. გონება მისი დაბნელდა და მის არსებაში შედგა მოქმედება ყოველი კაცობრივი ნიჭიერებისა. იგი გაძაფრდა, როგორც ცოფიანი მხეცი. მაშინ შებოქვს იგი ჯაჭვებითა და დასტოვეს ცის ქვეშ ტანი მისი შეიმოსა ბაღნითა, ფრჩხილები გაუმწყვტივად. როგორც ფრინველსა, იგი დაემსგავსა მხეცსა. ასე გაიარა შვიდი წელი. ბოლო — დროს ნაბუქოდონოსორს დაუბრუნდა ადამიანის ნიჭიერება. მაშინ მან შესწირა მადლობა უზენაეს ღმერთსა, რომელიც განაგებს ყოველსა და ადნა-

ლეს ამპარტავნსა. მიიღო რა განგება სამეფოსი, მან სიმაღლით გამოაცხადა თვის სახელმწიფოში ესოდენ ღიანი ცვლილებანი და სასწაულნი, რომელნიც გამოაჩინა მასზედა ღმერთმა, უზენაესმა არსებამა.

შეგნება, უმაღლესი შეგნება იქნდა ადამიანსა, დიდსაცა და მცირედსაცა, რომ უქნას მან ღმერთი შემოქმედი, მზრუნველი, მაცხოვარ-განმანათლებელი. ეს ცნობა მოიპოება მხოლოდ ქრისტიანობაში, რომელიც მოიცავს ძველისა და ახალი აღთქმის ეამთა ძველი აღთქმის მორწმუნისაგან გვემის ხმა უმაღლესი შეგნებისა ასეთი: „მოწყალე მე, ღმერთო... ხოლო ახალი აღთქმის ქრისტიანისგან ასეთი: „მოზიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვდენ სუფევითა შენითა“!..

აღმოსავლეთით აღმოპრწყინავს ნივთიერი მნათობი-მზე და აცხოველებს ქვეყანასა. აღმოსავლეთი არის აკვანი კაცობრიობისა, აღმოსავლეთით მოეფინა მას მაცხოვარების სულიერი ნათელიცა. აქედგან მოენიჭა მას ზეციერი სწავლა ღვთის არსებობისა და ადამიანის უკვდავებისა. ხოლო დასავლეთიდან ეფიერება, ზოპქრის და დაპქრის კაცობრიობისა ბორიტი სული ურწმუნოებისა და უღთობისა, სული გონებით-ზნეობითი სიბნელისა. აქ არ იღვეიან კაცობრიობის ცრუ-მეგობრნი, ახლად მოგონილი სწავლის გამაგრებულნი. მაგ., ჩენი თანამედროვე ბ. ბებელი და მისნი თანამოაზრენი უარყოფენ ღვთის არსებობასა, ადამიანის სულის უკვდავებასა, საზოგადოდ ქრისტიანობასა, მკაცრად სდენიან მას. ნაცვლად ზეციერი სამოთხისა, იმისთანა წესწყობილების დაარსებასა, რომ ყოველ ადამიანს შეეძლოს მადღრისად ჭამა-სმა, განცხრომა, მინამ ცოცხალია, შემდეგ ადრე თუ გვიან, იგი მოკვდება იმით გათავდება, გაქრება მისი არსებობა, როგორც აღი ცეცხლისა. ასეთია ჰაზრი იმ სწავლისა, რომელიც შეშვენის მხოლოდ რეტეან გონებასა, გაჰვავებულ გულსა და გარყვნილ ნებასა. ასეთია ის სწავლა, რომელიც ვრცელდება ჩვენს ერშიცა. მის საცდურად და სანებულად.

მაგრამ ამგვარი ცრუ სწავლა საშიშა არ არის მისთვის, ვისაც მოპოვებული აქვს უმაღლესი თვით-შეგნება. იგი ყოველთვის შეეკითხება თვის გონებასა და სინდისსა: „რითა სჯობიან დასავლეთის სიბნელე აღმოსავლეთის მუსესა“?.. „რითა, რა სა-



ფუძვლით უფრო მისაღება ვილაც ბებელისა და მის მსგავსთა უღლოობის სწავლა და არა ქრისტიან-ცხოვრების სწავლა, რომელიც ესოდენ ეთანხმება თვით ადამიანის ბუნებასა? — ასე, შეგნებულნი გონებისა და სეინილისთვის ბუნებრივ შეუძლებელია ქრისტიანობის უარყოფა.

მაშ სად არის მიზეზი იმ უარყოფისა, რომელსაც უცხადებენ ქრისტიანობასა ზოგიერთნი გვაზნი, ისიც განათლებულად წოდებულნი? — ამის მიზეზი არის ადამიანის ბუნებას დრამა და დრამაში. ასეთი დრამის გამო ხეული უფლებს სულზე იქამომდე, რომ სული იმყოფება სხელის მონობაში, ცოდვის სულიერ საპყრობილეში. აქედან დახსნა ადამიანისა შეიძლება მხოლოდ სულიერი ცხოვრების საშუალობითა. ე. ი., მეტადინობითა, რომ ადამიანის ბუნება სული უფლებდეს სხეულზე. ამგვარად თავისუფალსა და მფლობელ სულსა აქვს სულიერი მხედველობა. მაშინ იგი ცხადად ხედავს მოთხოვნილებასა როგორც ხორციელსა, ისე სულიერსა — ხედავს იმ კვილითა, რომელიცა გარდა-მომავალი არის ზეცით, ერთი დაიფივე ღვთისაგან, როგორც ხორციელი, ისე სულიერი ცხოვრებისთვის — ხედავს მზის ნივთიერ სინათლესა, დედამიწის ნაყოფთა, ხედავს მაცხოვრების სულიერ ნათელსა, როგორც წოდნსა უკვდავებისა, და გონიერად სარგებლობს ამით ყოვლითა.

აი ის ნამდვილი ცხოვრება, რომელიც შეშენის ადამიანის ბუნებასა, რომელიც არის ნიშანი მის კვამარტი განათლებისა, ნიშანი ვონების სინათლისა და სეინილის სიხეზილისა.

ამიტომ, ის ადამიანი რომელიც სარგებლობს მზის სინათლითა და დედამიწის ნაყოფიერებითა, ხოლო იმავე დროს უარყოფს მათ შემოქმედსა, — ის ადამიანი, რომელიც ორივე ხელით მაგრა ეკიდება ნივთიერ კეთილთა, შემოქმედისგან მონიქებულთა, ხოლო იმავე დროს უარყოფს სულიერთა კეთილთა, იმავე შემოქმედის მაცხოვრებით აზნობებითა, — ის ადამიანი, რომელიც ხედავს თვის ბუნებაში მარტო ხორციელ ცხოვრებასა, ხოლო სულიერსა უარყოფს, უარყოფს სულის უკვდავებასა, — ღირსი არ არის იმ მაღალი წოდებისა, რომელსაც იცავს სიტყვა: „ადამიანი“...

o ბაღუევი.

მისამე მცნება.

არა მოილა სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამათა ზედა.

რადგანაც მიზანი ღვთისათი მცნებისა არის აზილება ადამიანის ზნეობისა, ხოლო ქრისტიანსაგან მოითხოვება უმაღლესი ხარისხი კეთილ-ზნეობისა, მეორეს მხრივ, რადგანაც ჰაზრი ათი მცნებისა მოითხოვს სიყვარულის გამოცხადებასა ღვთისა და მოუყვანს დამი, ხოლო ეს სიყვარული ნაანდერძევი აქვს ქრისტიანსა თვით მაცხოვრისგან, — ამიტომ ათი მცნება, წარმოთქმული ებრაელთაში, მიღებულია სახელთმძღვანელოდ ქრისტიანობაშია. — ებრაელი, როგორც რჩეული ერი, რომლის სარწმუნოებაც მდგომარეობდა მაცხოვრების მორალში, შეადგენდა ძველი აღთქმის ეკლესიასა, ხოლო ქრისტიანე, როგორც მიმღებნი მოკლენილი მაცხოვრებისა, შეადგენენ ახალ აღთქმის ეკლესიასა, რომელიც სულით და კვამარტივით ემსახურება ღმერთსა, უზუნავს სიწმინდესა. ამიტომ ქრისტიანსაგან უფრო მეტად მოითხოვება სისრულედ ასრულება ათი მცნებისა, — მოითხოვება სიწმინდე ცხოვრებისა.

მისამე მცნება ვილად სდებს კაცსა, რომ მან უბრალოდ არ მოიხსენოს სახელი ღვთისა. ღმერთი სამართლიანად თხოულობს კაცისგან პატივის ცემასა იქამომდე, რომ ჩვეულებრივ ცხოვრების საუბარშია უბრალოდ არ ახსენოს ღვთის სახელი. ღმერთი უზომოდ აღდებულნი არის თვის არსებითა და მოქმედებითა. ამიტომ კაცის მხრივ მას შეშენის: შეიღებრივი შიშის, კრძალულება და ღმობიერება. ღმერთი, ანგლოზნი და კაცი, ეს სამი არსება არის მფლობელი გონიერ-ზნეობითი ცხოვრებისა. ცხოვრება ღვთისა არის თვითმყოფი, დამოუკიდებელი, ხოლო ცხოვრება ანგლოზისა და კაცისა მონიქებულია ღვთისგან. დიდი და ძვირფასია ნიჭი გონიერ-ზნეობითი ცხოვრებისა, როგორც საშუალება ღმერთთან ერთობისა, რომელიც ერთობაც ანეტარებს, ავირგვინებს ცხოვრების ღირსებასა. ამისთვის ცხოვრება როგორც ანგლოზისა, ისე კაცისა უნდა იყვეს წმინდა. ანგლოზნი იცავენ ცხოვრების სიწმინდესა კეთილნებობით, მით აღიღებენ ღმერთსა და სტკებთან ნეტარებითა. ნეტარება არის ხეყდრი ქრისტიანე-კაცისა. მის



მოპოვებისთვის ქრისტიანესგან მოითხოვება კეთილ-
ნებობა, თუკი ქრისტიანე არის დაცემული ბუ-
ნებისა, არის ცოდვისკენ მიდრეკილი, მაგრამ მას
შეუძლიან ბრძოლით და ღვთის მადლით დასაბრ-
უნოს თვის ბუნებაში ცოდვითი მიზიდავა, მით
გაასუფთავოს, წმინდა ჰყოს თვისი ცხოვრება. მაგ-
რამ, სამწუხაროდ, კაცი ფრიად მკირედ ყურად-
ღებას სწილადებს თვის სულიერი ცხოვრების გა-
სუფთავებას და განწმენდას. ამიტომ იგი ვერა სც-
ნობას, რომ ღვთის მსახურების საკურთხეველზე
მან უნდა შესწიროს მსხვერპლად: უმაღლესი ღვთის
შეგნება, წმიდა ჰაზრი, სიტყვა და გრძნობა. თუ
არის ღვთის თაყვანისცემა სულითა და ქეშპარბი-
ტებითა.

კარგი და სასარგებლოა გარეგანი სისუფთავე:
კაცი ამის დაცვის მოვალეც არის, მაგრამ ამასთან
დაცული უნდა იყვეს სულიერი სიწმიდეცა,
—ორივენი ერთად შეიძლება ცხოვრების სისრულ-
ესა, აყუთ მათ ეს ცხოვრება ნამდვილ ღირსების
ხარისხზე. კარგია გვიმის გასუფთავება ქუქყისგან,
მაგრამ უშჯობესია გონებისა და გულის გასუფთა-
ვება ბოროტ ჰაზრობისგან და სურვილისგან. სა-
სიამოვნოა სუფთა ტანისამოსით შემოსვა სხეულისა,
მაგრამ უფრო სასიამოვნოა უნდა იყვეს შემოსვა
სულისა კეთილზნობითა. სასიამოვნოა ხილვა გარ-
ეგანი ნათელისა უფრო მაშინ, როდესაც შინაგანი
ბუნებაც იმყოფება მშვიდობისა და კეთილის ნა-
თელში. სასიამოვნოა მეგობრული და სანათესაო
საუბარი მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი არის საქ-
მიანი და ზნეობითი, როდესაც არ იზხამება იგი
საზოგადოდ ავენობითა, მეტადრე ღვთის სახელის
უბრალოდ სსენებითა ფიცში. რის ჩვეულებაც
აქვს ბევრსა..

ცხოვრება კაცისა გამოხატება სიტყვით და
საქმით. ცხოვრების სიწმინდის დასაცველად ადა-
მიანმა უნდა ალაგმოს თვისი ფეცა და გულიცა.
გულში იმხანდა ყოველი ბოჭიერი სურვილი. გული,
ჯავრით მოცული, საზიზრად ავენობს. აულაგმავი
ენა ისერის იმისთანა გულსკადე, შხამით მოცულ,
სიტყვებსა, რომ შეგნებული მსმენელი უნებლიეთ
შეეკითხება, ნუ თუ ასეთ სიბრაზეს აცხადებს
ადამიანისა და არა ეშმაკის ბუნება?!.. ზნე-
ობით ასეთ სიბნელეში იმყოფებიან მრავალნი
ქრისტიანენი, ყრბანიცა და ასაკოვანნიცა. ვხედავთ,

მაგ. რამდონიმე ბავში ერთობა თამაშობაში; ამ
ღროს იმისი მათგან ერთმანეთის გინება საძაგლო
სიტყვებითა, უბრალოდ ფიცი, ხსენება ღვთის სა-
ხელისა. ასეთი ზნეობითი მღვდმარება ყრმათა-
ქრისტიანეთა, რომელნიც ასაკობით უნდა იყვნენ
ანგელოზებრივ წყნარნი და მართალნი,—ჰბადებს
ფრიად დასაღონებელ გრძნობასა ადამიანის შეგნე-
ბაში.. ეს მოვლენა დიდი საყურადღებოა უნდა იყოს
მშობელთათვის. მათი მოვალეობა არის, რომ ყრ-
ბანი არ შეეგვივნენ საზოგადოდ ავენობასა, ტყუილ
ფიცსა, ღვთის სახელის ბიად სსენებასა: სყრბითა
დანერგული ავენობა ანუ ბიწიერება ძნელად მო-
სასპობია შემდეგში.

გულსა გმირავს ლახვარიგეთა მეტადრე ავე-
ნობა ვლესთა, რომელნიც საზაროდ იგინებიან,
ფიცულობენ, უბატურად იხსენებენ ღვთის სახელსა,
სა, ზიარებასა, მშობელთ სახელსა..
ქრისტიანული განათლება უნდა საბრალო ყრბს
საყურადღებოა, ვისთვისაც ჯერ არს, რომ, თუ იგი-
ბევრს მოკლებულია ხორციელობის მხრივ, ზნეობ-
რივ უფრო დაზარულია. ერს ამ მხრიდგან შეგლა
უნდა. აქ არის საღმრთო სარბილი კეთილგონი-
ერებისთვის...

ო. ბაღუქვი.

შეწირულება.

ჩემდამო რწმუნებულ ღორემის წმ. გიორგის
ეკკლესიას მღვდელმა სიმონ კურტანიძემ შემოსწი-
რა: ერთი ხელი ბრწყინვალე სრული სამღვდელო
შესამოსელი ფარჩისა ხუთ თუშნათ ღირებული;
შავი ხავერდის სამღვდელო შესამოსელი უსტახროთ
სამ თუნდა ღირებული, ხატი ქრისტეს აღდგომისა
ფიცარზე დახატული და ოქროს ვარაყით შემკული
ოცდა-ხუთ მანეთად ნაყიდი და წმ. სახარება ძვირ-
ფასი აბრეშუმი ხავერდის ყდაში ბროზის ხატებით
სამ თუშნათ ნაყიდი. ამავე მღვდელმა ოთხ თუშ-
ნამდე დახარჯა ადგილობრივი სამრევლო სკოლის
შენობის კარაკოშკის შესაღებათ და საზოგადოდ
სკოლის შესაკეთებლად. სულ ეკკლესიას და სკო-
ლას მონახარა 175 მანეთი, რაისათვისაც, უძღვნე
რა მ. კურტანიძეს უღრმეს მადლობას ასეთ ქველ-
მოქმედებისათვისაც, ვისურვებ მას წამაძველებში
გამოჩნოდენ და არ დაეშუროსთ თავიანთი წელი-
ლი ტაძრისა და სკოლის გამშენებისათვის.

მდ. ღორემის წმ. გიორგის ეკ. ს. ჭეჭუბრაძე.



ი ს ყ ი ღ ე ბ ი ა ნ

დეკანოზი ღავით ღამაზობისაგან ზედგანილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას წიგნის მაღაზიაში, უკირილაში—(მწიგნობარის) ს რედაქციაში.

1. სეკულარული და ღვთის-მსახურების წიგნები.

1. ლოცვანი ნახატებიანი, გამოცემა მეექვსე, მართლ-მადიდებელი ეკლ. უმთავრესი დღესასწაულების იაკობოვილი მოახრობით. ამ ლოცვანში არის მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლია და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვნის სრულს თვეთა მკაცრებში არიან ჩრთულნი საქართვ. წმ დანები მათი ისტორიული მითხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყლით 25 კ. და უყლოთ . . . 20 კ.
 2. წესი ნუნელს ზიარებისა და ცრცელი პანაშვილისა, ფასი . . . 10 კ.
 3. სოცხლია და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყლით) ფ. . . 20 —
 4. მონდაკი იოანე ოქროპირის წირვისა უყლოთ 30 კ. კარგი ყლით . . . 50 >
 5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და თორმეტ სთფლო დღეების ტროპარ-კონდაკებით ფ. . . 5 >
 6. საქართველოს ეკლესიის წმიდანები რუს. 5 „
- ### 2. სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები.
1. დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებასზე, 30 კ.
 2. დარჩებთა გაცეოილეთი საღმრთო სჯულის სწავლებასზე, ფასი . . . 15 —
 3. ახალი სასულიერო კანსაკტორიათა წესდებულება—ფასი . . . 30 კ
 5. მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ყლით . . . 20 კ
- ### 3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვასზე.
1. ახალი კარბადანი, მყოფე გამოცემა დამატებით, რომელიც კანხილელი, მოწო-

- ნებული და ნება-ღართულია კეკელიის საეკლესიო რჩევასაგან ყლით ფასი . . . 1 მ.
- უყლოთ . . . 60 კ.
2. ღაოგება მხველობი და ეკესა და თვალის მოვლასზე, ფასი . . . 10 —
 3. ჯანმრთელობა და ავადმყოფობა ექიმის საუბარს . . . 5 კ.
- ### 4. შესანიშნავი მონასტრები და ეკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი,
1. მტეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ. განმნათლებელი, ფასი. . . 15 კ.
 2. გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მ. ფ. ს. დავით აღმაშენებ. . . 15 კ.
 3. შო მღვმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მაქსისა ჩვენისა შიოსი . . . 5 კ.
 4. მთავარ-მოწ. ღავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . . . 5 კ.
- იოვე რუსულ ენაზე . . . 10 კ.
5. პარძის მონასტერი, ფასი . . . 5 კ.
 6. მარტვილის მონასტერი . . . 2 კ.
- ### 5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა სხვაობრივ სწავლა დარიგებით.
1. ღვთის-მშობლის დაბადება, სურათით . . . 2 —
 2. ტაძარ დიკანება ღვთის-მშობლისა, ფ. . . 2 —
 3. ამაღლება პეტროსისა და ცხველს-მყოფელისა ჯეოიისა, სურათით. . . 2 —
 4. შუბა უფლისა . . . 2 კ.
 5. მიჩამა უფლისა, სურათით.—ფასი . . . 2 —
 6. ხარამა უფლისა წმიდა ღვთის-მშობლისა 2 —
 7. ზგობა სურათით—ფასი . . . 2 —
 8. აღდგომა სურათით—ფასი . . . 2 —
 9. მიჩინება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა, 2 —
 10. ბელთუქელი ხატის ისტორია . . . 3 კ.
- ### 6. მოწამენი, ღირსნი მაქანი და დედანი საქართველოს ეკლესიისა, შესანიშნავი საქართველოს მეფენი და დედოფანნი:
1. წმიდა მოწამე რაფინი, სურათით, ფასი . . . 3 კ.
 2. წმ. ნინო ქართველთა განმანათლებელი . . . 2 —
 3. მწვე დავით მესამე აღმაშენებელი . . . 5 —
 4. თ. მ. რ. მეფე, სურათით . . . 5 —

6. გიორგი შთაწმადელი	10—
6. იონანე ზედანწყელი	5—
7. შუშანიცი	2—
8. ქვეყანა დედოფალი	2—
9. აჩილ და ლუარსაბი	5—
10. წმიდა ნინო რუსულად	8—

7. რელიგიური და ზნეობრივი შინაწიხის წიგნები და საუბრები:

1. წმიდანი მღვდელ-მთაბარანი: ბასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იმპერატორი, სურათებით — ფასი	5—
2. როგორ უნდა ემარხულობდეთ — ფასი	3—
4. პნრეო პერიელ წოდებულთა, ისტორიული პოემა აკაკისა, ფასი	5—
5. სიკვდილი მართლისა, კონსტანტინე პლაციდის წიგნი	5—
6 ხმა მადლერისა სმწყისოსადმი. საუბ. რას უკსწავლა იესო ქრისტესი	3—
7 შვილების ბოვადეობა მშობელთადმი	3—
8 მშობლების მოვალეობა შეილთადმი	3—
9 უნდა ავიან ჩენი ცხოვრების მტერი და როგორ ვინდა ესტლიათ მათ	3—
10 იუნჯეობით საუნჯეგა ცათაშინა	3—
11 საუბარი ღვთის სიტყვაზე	3—
12 — შრომაზე	3—
13. სამეგარი სიკვდილი	5 »

8. მოთხრობანი დაბადებიდან.

1. მუჟა სოლომონ ბრძენი სურათით — ფ.	5—
2. მათერი (მოძებრობა დაბადებიდან) სურ.	5—
3. სირძნე იო მისა ზირაქისა, სურათით.	5—
4. იოსები	5—
5. მრავალ წამებული იობი	5 კ.

11. მსატკობანი სას. და საერო მოღვაწეთ.

1. შოთა რუსთაველი.	25 კ.
2. აკაკი წერეთელი	25 კ.
3. თაბარ მეფე	25 კ.

იმეკონება აგრეთვე შესავალ-გასავალის წიგნები და ყოველგვარი მოწმ. ბლანკები და ამოწერილობანი.

სატები და მსატკობანი.

იმეკონებანი პატარა რეფორმის-ხატები ფიკრზე სამ-ოთ გოჯანი ფასი 5—10 კ. ხატები არა-მაცხ-ურის, ივერის ღვთ-ს მშობლის, წმიდა გიორგის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა დეათ თორმეტთა დღეს-სწავლთა. ენც დიბარებს ხელებს არა ნაკლებ რიცხს, იმათ ჩენს საქართლო-ში უფელან ფოსტის გავაზენი არა გარდახდება ამ სთ-ნ იმეკონება სველ ქაღალდზე ნახატი წმიდა ნინოსი, საქართველოს განმანათლებელისა იარაყით **11-11 გოჯანი ფასი 15 კ.** ფოტო-ტიპით დახატული წმიდანი მთაბარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6-15 გოჯანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და ამისთანავე სახით წმ-და ნინო ქართველთ განმანათლებელისა და დავით აღმაშენებელისა ფ. თითო 5 კ.

ენც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მის მანეთზე დაეთმობა 30 კ. ენც ორ კაპიკან წიგნაკებს დიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის უსტავო გავაზენს არ იხდის.

იმეკონება აგრეთვე მრავალი პატარა გულსიკიდი ხატები ფერადეული ლითონისა, სახელდურ: ნინოსი, დავით და კონსტანტინეს, დავით აღმაშენებლისა, თამარისა, ანდრია პირველ წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფასი თითო 5 კ. ენც ასს დიბარებს ნაღ ფულზე, მას გავაზენით დაეთმობ. სამ მარ. ესეთი იმეკონებანი ვერცხლისა, ფასი 40 კ.

ს ტ ბ მ გ ბ

ყურნალ „მწყესი“-ს რედაქციისა დ. ქვირილაური

ღიბულღას შოხლანის სასტამბო საბამიბს ზარათებს, სწოტებს, პანკებს, დაფორებს და სს. დაკვეთილი საქმეები სრულდება სუფთად და იაფად.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე, 30 მისი, 1907 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყესი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ღამბაშიძისა) ყვირილა საკეთარ სახლში.